№ 70
კვირა, 31 მარტი 1902 წ.
3

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.
,,ივერიის'' ტელეფონი № 227.

1877—1902

# ივერია

№ 70
კვირა, 31 მარტი 1902 წ.

რედაქცია
**ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.**
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონ პირველ გვერდზედ 10 კაპ.
მეოთხე ხუზედ—5 კაპ.

,,ივერიის'' ტელეფონი № 227.

ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

## I აპრილიდგან წლის დამლევამდე გაზეთი
## „ივერია“

ღირს **რვა მანეთად** (8 მ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

**ხელის მოწერა მიიღება:**

**ტფილისში:**—,,ივერიის'' რედაქცია (ნიკოლოოზის ქუჩა № 21) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებ. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
**ქუთაისში:**—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზია.
**ბაქოში:**—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
**ხონში:**—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
**შორაპანში:**—პართენ ნასიძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“. ტელეფონი № 227.

## წლიური ჩვეულებრივი საზოგადო კრება
### ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა

დანიშნულია 6 აპრილს, შაბათს, დილის ათ საათზე, ს. კუხს, ამხანაგობის სამმართველოში. საგნები კრებისა: 1) 1900 და 1901 წლების ანგარიშების დამტკიცება; 2) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა სამინისტროსაგან დამტკიცებულის წესდების თანახმად; 3) 1902 წლის ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება; 4) ამხანაგობის მმართველის მიერ წარმოდგენილ მოსაზრების განხილვა ორის წლით, საცდელად, წარმომადგენელთა საზოგადო კრების შემოღების შესახებ; 5) გამგეობისადმი მინდობა ამხანაგობის აღებ-მიცემობისათვის ფულის სესხებისა და 6) ამხანაგობათა კავშირის წესდების შემუშავებისა და დასამტკიცებლად წარდგენის მინდობა გამგეობისადმი სხვა ამხანაგობათა წარმომადგენლებიან შეთანხმებით.

(10—6.—5) ამხანაგობის მმართველი **ნესტორ წერეთელი.**

## სამკერვალო
### ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობთ ქალთა ტანისამოსს შესაკერად

**ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად.**

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ქრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელთ-საქმისას.

ტფილისი. წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ქრა-კერვისა და ხელთ-საქმის სახელოსნოს გამგე **ანა მერკვილაძისა.**

(13—287—8)

**ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკი** აცხადებს, რომ 1902 წლის 10 მაისს, შუადღის 12 საათზედ, ქ. ბათუმს, ბათუმის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში **გაიყიდება** ამ ბანკზედ დარჩენილი უძრავი ქონება, ყოფილი ანტონ სიმონის ძის ყანდინოვისა.

ეს ქონება შესდგება შენობებისა და მიწისაგან. მიწა ზომით ას ოც და ექვსი და $^7/_{10}$ ოთხ-კუთხი საჟენია (136,7). მდებარეობს ბათუმში, მიხეილის ქუჩისა და კრივოის ვიწრო ქუჩის კუთხეში.

იმათ, ვისაც ჰსურთ მამულის დასაფასებელ სიის გაცნობა და აგრეთვე გაგება დაწვრილებით პირობებისა, შეუძლიანთ მიჰმართონ ამ საქმისათვის ბათუმში გაგზავნილ გამგეობის წევრს ვაჭრობის წინა დღეს 11-დგან 2 საათამდე ან წერილით მოელაპარაკონ.

(2—6.—1)

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
**მაღალაშვილი**

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.)

## ტფილისის კერძო სამკურნალო
### მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილით:**

**ვ. ი. ხიზინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 ს., გარდა ხუთშაბათისა და შაბათისა.

**ი. გ. ფედოროვი**—შინაგან და ბავშვებისა 9—10 საათამდე.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგან: სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 ს.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

**ვ. დ. ლამბაშიძე**—შინაგან ავადმყოფობათა 10—11 საათ., სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

**კ. მ. ელიოზიშვილი**—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი, 12—1 საათ.

**ა. გ. ბარსუკოვი**—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

**სტ. ა. ვოინო**—ხირურგია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.

**გ. მ. ამბარდანოვი**—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

**ა. გ. მაღალაშვილი**—შინაგან და ბავშვებისა, 5—6 საათ. მიკრო-ქიმიური და საბაქტეროლოგო გამოკვლევანი.

**გ. ს. დავიდოვი**—ბავშვებისა და შინაგან სნეულებათა, 7—8 საათ.

**კვირაობით:**

**გ. გ. მაღალაშვილი**—10—12 საათ., შინაგან ავდმყოფობათა. (წ.)

## პირველი კერძო სამკურნალო
### ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.** დილის 11—12 საათ. ყელისა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ხ. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ ,,მასსაჟს'', აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

**კ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, თვალისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**კ. ი. ბძელიშვილი.** 5—6 ს. ყურისა, თვალისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. ნ. შააკოვსკი.** 6 7 ს. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობათა.

**გ. ა. თარხანოვი.** $7^1/_2$—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.)

ექიმი
## ვახტანგ ლამბაშიძე

სწამლობს შინაგანსა და საბავშვო სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილის 9 საათიდგან 10-მდე და საღამოს 5-დგან 7-მდე. რეუტის ქუჩა, № 24. ტელეფონი № 642. (წ.)

### როგორ უნდა მოეწყოს უკეთესად სასოფლო სკოლა?

—

სასოფლო სკოლების დაარსება დაიწყო ჩვენში ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ 1864 წელს. ამ ჟამად ცოტა არ არის ისეთი სოფლები, სადაც სკოლა უკვე 25 წელიწადია არსებობს. 25 წელიწადი საკმაო ხანია იმისთვის, რომ სკოლას გაემართლებინა თვისი დანიშნულება: აემაღლებინა გლეხ-კაცობა გონებითა და ზნეობით, განემტკიცებინა მისი სარწმუნოება და სათნოება და განეკარგებინა მისი ნივთიერი ყოფა-ცხოვრება.

შეასრულა-კი სკოლამ ეს თვისი მაღალი დანიშნულება? გაამართლა ის იმედები, რომელიცა ჰქონდა მთავრობასა და თვით ხალხს?

მრავალი ცნობა, დაბეჭდილი დრო-გამოშვებით მწერლობაში, როგორც აქაურსა, ისე რუსეთისაში, აზრი იმ მცოდნე კაცთა, რომელთაც შეძლება ჰქონდათ დაახლოვებით შეესწავლათ სკოლის მნიშვნელობა სოფლის ცხოვრებაში, აგრეთვე ჩემი პირადი, საკმაოდ ხანგრძლივი დაკვირვება ამ საქმისა მაიძულებს ვსთქვა, რომ ჩვენმა სასოფლო სკოლამ ვერ გაამართლა ვერც მთავრობისა და ვერც თვით სოფლელთა იმედი.

ჩვენებურმა სკოლამ, არა თუ ვერავითარი ცვლილება ვერ მოახდინა ერის სულიერს ცხოვრებასა და ეკონომიურს ვითარებაში, არამედ ისიც-კი ვერ მოახერხა, რომ უბრალო წერა-კითხვა გაევრცელებინა ხალხში. როცა 1897 წელს საყოველთაო აღწერა მოჰხდა მკვიდრთა, იმ ქართულ სოფლებში, საცა დიდის ხნის დაარსებული იყო სკოლა, სრულიად არ აღმოჩნდნენ ისეთნი, რომელთაც შესძლებოდათ უწყების ფურცლებში ჩაეწერათ საჭირო ცნობანი ან ქართულად ან რუსულად. ამიტომ თითქმის ყველა სოფელში თვით პოლიციამ იკისრა ეს საქმე. უნაყოფობა სკოლისა იქამდე მიდის, რომ, როცა განაჩენს ადგენს სოფელი, თითქმის არავინ არის გლეხკაცთა შორის წერა-კითხვის მცოდნე, რომ განაჩენს ხელი მოაწეროს, ქართულად მაინც. და ამისთანა ამბავი ხშირად არის შენიშნული იქ, საცა სასოფლო სკოლა არსებობს თითქმის ათს წელიწადზედ მეტს ხანსა. რაიცა შეეხება ენა-მეტყველობის განვითარებას, უნდა ვსთქვათ, რომ სასოფლო სკოლაში კურს დამთავრებულნი, არამც თუ რუსულად ვერა ლაპარაკობენ, არამედ დედა-ენაზედაც საყველპუროდ თუ საუბრობენ, სწორედ ისევე, როგორც უსწავლელი ბავშვები. ეს კიდევ ცოტაა. კარგად რომ დაუკვირდეს ბავში სოფლის მოზარდებს, აღმოჩნდება, რომ ვისაც სულ არ უსწავლიათ სკოლაში, ისინი უფრო მეტს და საღს გონიერებას, მეტს უნარს მოსაზრებისას იჩენენ, უფრო ცოცხალნი და შრომის მოყვარენი არიან, ვიდრე ისინი, რომელთაც სკოლაში უსწავლიათ.

ნუ-თუ ამის შემდეგ არ უნდა ვიკითხოთ, რა არის მიზეზი, რომ ასეთს უნაყოფობას იჩენს სასოფლო სკოლა ჩვენში? პირველი მიზეზია მეტის-მეტი ხან-მოკლეობა სასოფლო სკოლის კურსისა. ევროპაში პირველ-დასაწყისის სკოლისათვის დაწესებულია 6—9 წლის კურსი. რუსეთში ბევრისაგან აღიარებულია საჭიროება ოთხის წლის კურსისა. ჩვენში-კი დაწესებულია ამ ოცის წლის წინად სამის წლის კურსი. ეს ხანი ძლივს არის საკმარისი მარტო იმიტომ, რომ ბავშვმა შეითვისოს სულ უბრალო რუსული წერა-კითხვა. ხოლო შეთვისება რუსულის ენისაცა და რუსულის წერა-კითხვისაცა, რაიცა ოთხჯერ უფრო ძნელია, ისიც სამის ზამთრის განმავლობაში, ყოვლად შეუძლებელია. ეს კარგად იცოდა წინანდელმა მზრუნველმა კავკასიაში სწავლა-განათლებისამ ნევეროვმა, კ. პ. იანოვსკიზედ ადრე ნამყოფმა, და ამიტომ დააწესა ხუთის წლის სავალდებულო კურსი სასოფლო სკოლებისათვის ჩვენში. და ამის შესაფერადაც იქმნა შემუშავებული დაწვრილებით პროგრამები ყოველის პირველ-დასაწყისის საგნისათვის ტფილისის გუბერნიის მასწავლებელთა საყოველთაო კრებაზედ 1878 წელს. ამის გამო დიდ სოფლებში, რომლებსაც შეძლება ჰქონდათ ორი მასწავლებელი ჰყოლოდათ, ბავშვებს ყოველ-წლივ იღებდნენ სკოლებში, ხოლო პატარა სოფლებში, საცა მხოლოდ ერთის მასწავლებლის შენახვა შეეძლოთ, ბავშვებს იღებდნენ წელიწად გამოშვებით, რათა სკოლას სამ განყოფილებაზედ მეტი განყოფილება არა ჰქონოდა. სამწუხაროდ, ასეთმა შესაფერმა სამოსწავლო გეგმამ დიდხანს ვერ გასძლო. ეს გეგმა მოისპო. ნევეროვის შემდეგვე. მისმა მოადგილემ შემოიღო სამის წლის კურსი, რომელიც დაწესებული იყო მაშინ რუსეთის შიდა-გუბერნიებისათვის. ამ გარემოებამ ძალიან დააუძლურა სასოფლო სკოლები ჩვენში.

მეორე მიზეზია მეტის-მეტი ხან-მოკლეობა თვით სასწავლო წლისა. სოფლად წესიერი სწავლა იწყება მხოლოდ გიორგობის თვიდგან, როცა თავდება მინდვრად მუშაობა. თავდება სწავლა აპრილის დამდეგს, როცა დგება ჩვენში გაზაფხული და ხალხი გადის მინდვრად სამუშაოდ. ამიტომ სასწავლო წელიწადი საქართველოში მხოლოდ ხუთი თვეა. ამიტომვეა, რომ თვით ყოვლად ბეჯითი შეგირდი სოფლად სწავლობს მხოლოდ თხუთმეტ თვეს მთელის სასკოლო კურსის განმავლობაში. ხოლო ამისთანა მეტისმეტად ხან-მოკლე დროში სკოლას არ შეუძლიან რაიმე ნამდვილი და საფუძვლიანი სარგებლობა მოუტანოს სოფელს.

მესამე მიზეზია შეზღუდვა დედა-ენის უფლებისა სხვა-და-სხვა საგნებისა და რუსულის ენის სწავლების დროს... გაღვიძება ბავშვის გონებრივის ძალ-ღონისა, განვითარება მისის აზროვნობისა და ჭკუა-მოსწრებულობისა, არამც-თუ დიდი სიკეთეა თავის-თავად, არამედ უუსაჭიროესი პირობაა სასკოლო კურსის ყველა საგნის რიგიანად სწავლებისათვის. ხოლო ეს გაღვიძება და განვითარება შესაძლოა მხოლოდ მაშინ, როცა პირველ წლებში სწავლება სწარმოებს ბავშვისათვის გასაგებ დედა-ენაზედ. არსად და არას დროს სკოლას არ შეუსრულებია თვისი დანიშნულება განმანათლებელის დაწესებულებისა, თუ სწავლება უწარმოებიათ უცნობს ანუ ნაკლებად ნაცნობს ენაზედა. პირიქით, დიდი სიკეთე მოუტანია სკოლას მხოლოდ იქ, საცა სწავლება ცნობიერი ყოფილა; ცნობიერი ყოფილა მით, რომ პირველ ხანში სწავლების დროს უხმარნიათ დედა-ენა.

ნევეროვის გეგმით სწავლება ქართულს სასოფლო სკოლებში სწარმოობდა მთელის კურსის განმავლობაში დედა-ენაზედ, ხოლო რუსულ ენას მიჩენილი ჰქონდა სრულიად საკმაო რიცხვი გაკვეთილებისა. ასეთის გონივრულის ღონის ძიების წყალობით, მოსწავლეთა განვითარება წესიერად მიდიოდა წინ; ყმაწვილები სავსებით ითვისებდნენ ქართულს წერა-კითხვას, ხოლო უკანასკნელს წლებში შეგნებით სწავლობდნენ რუსულს წერა-კითხვასაცა და რუსულს ლაპარაკსაც. ცოტა არ იყო მაშინ ისეთი მაგალითები, რომ სოფლის სკოლის შეგირდები, რომლებიც-კი კურსს დაათავებდნენ ხოლმე სასოფლო სკოლაში და გონივრულის სწავლების მეოხებით შეიყვარებდნენ ხოლმე რუსულს ენასაც, სხვა სკოლაში შეუსვლელათაც, თვითონვე განაგრძობდნენ რუსულის სწავლას და იმდენად მოემზადებოდნენ ხოლმე, რომ ეგზამენს იჭერდნენ სოფლის სკოლის მასწავლებლობასას და ინიშნებოდნენ კიდეც სასოფლო სკოლების მასწავლებლებად.

(შემდეგი იქნება)

იაკობ გოგებაშვილი

## ახალი ამბავი

—

◆ ამერიკელი სტუმრები დღეს, სხვათა შორის, ინახულებენ ,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების'' წიგნთ-საცავს და მუზეუმს.

◆ რამდენიმე დღეა, რაც წყლის მილი ქალაქში მცხოვრებთ ზოგან ცოტას აწოდებს და იმასაც ერთობ მღვრიეს, ზოგან-კი, მაგალითად, მთაწმინდის უბანში, წვეთიც არ არის წყლისა. მართალია აწინდელი საარჩევანო აგიტაცია მოცლილს დროს ცოტას უტოვებს ჩვენის ქალაქის ნიადაგ-შერყეულს ,,მამებს'', რომ ყურადღება მიაქციონ ქალაქის დღევანდელს საქმეებს, მაგრამ გვაკვირვებს საქციელი ქალაქის გამგეობის იმ თანამდებობის კაცთა, რომელთაც სამსახური პირდაპირ ხმოსანთაგან არ არის დამოკიდებული, მაგ. თუნდ იმ ინჟენერისა, რომელსაც განსაკუთრებით წყლის მილის ზედამხედველობა აქვს დავალებული! რა დღისათვის ინახავს თავისს ,,ზედამხედველობას''?

◆ მაკკერის აფთიაქის იჯარადარმა ბ-ნმა იაკუბოვიჩმა შვიდი საათის მუშაობა შემოიღო თავისს მოსამსახურეთათვის, რომელნიც ორ-წყებად ასრულებენ ხოლმე სამსახურს. პირველი წყება სამსახურის ასრულებას იწყებს დილის 8 საათზე და ათავებს 3-ზე, მეორე წყება იწყებს 3-ზე და ათავებს ღამის 10-ზე. ღამის ათიდგან სამსახურს იწყებს ღამის მორიგი. ამ რიგად ბ-ნმა იაკუბოვიჩმა პირველმა შემოიღო ტფილისში რუსეთის ფარმაცევტების უკანასკნელ კრების ერთი გარდაწყვეტილებათაგანი. თუ სხვის აფთიაქის მოიჯარადრეს ხელს აძლევს ასეთი წესის შემოღება, საკუთარის აფთიაქის პატრონებს სულ არა დააკლდებათ-რა, რომ ასეთს სიმპატიურს მაგალითს მიჰბაძავდნენ...

◆ გორის ეპისკოპოსად და საქართველოს პირველ ქორ-ეპისკოპოსად დანიშნული რექტორი ქუთაისის სასულიერო სემინარიისა არქიმანდრიტი ბენიამინე, „Биржевыя Вѣдомости“-ს სიტყვით, ნიჟეგოროდის ეპარქიაში დაბადებული, 1862 წ. (ერის კაცობაში ვლადიმირ ბორნუკოვი). 1882 წ. დაასრულა კურსი ნიჟეგოროდის სას. სემინარიაში, ეკურთხა და დაინიშნა მღვდლად ვასილიევის მაზრაში, ს. მიშნაში. 1889 წ. შევიდა პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში, სადაც სამის წლის შემდეგ აღიკვეცა ბერად. აკადემია დაამთავრა 1893 წ. ღვთის-მეტყველების კანდიდატის ხარისხით. მაშინვე დაინიშნა სასულიერო სემინარიის ინსპექტორის შემწედ, შემდეგ გადაყვანილ იქმნა ზაიკონოსპასკის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად მოსკოვში. 1896 წ. გამწესებულ იქმნა ქუთაისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად და შემდეგს წელს იმავე სემინარიის რექტორად. იმ დროსვე მას მისცეს არქიმანდრიტობაც.

რაც შეეხება მეორე ახალს ქორ-ეპისკოპოსს ალავერდის მღვდელ-მთავარს დიმიტრის, მის შესახებ შემდეგს მოგვითხრობს იგივე გაზეთი: არქიმანდრიტი დიმიტრი (ერის კაცობაში თავადი დავით აბაშიძე) შვილია ტფილისის გუბერნიისა, დაიბადა 1868 წ., უმაღლესი განათლება მიიღო ნოვოროსიის უნივერსიტეტში და კიევის სასულიერო აკადემიაში, სადაც პირველს კურსზედვე აღიკვეცა ბერად და იწოდა დიმიტრად. აკადემია დაასრულა ღვთის-მეტყველების კანდიდატის ხარისხით და დაინიშნა ქუთაისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად. ორის წლის შემდეგ (1898 წ.) ასეთსავე თანამდებობაზე გადაიყვანეს ტფილისის სემინარიაში. ერთის წლის შემდეგ აკურთხეს არქიმანდრიტად და დანიშნეს სამისიონერო სემინარიის რექტორად არდონში, სადაც დღემდე მსახურებდა.

◆ დღეს, 31 მარტს, დილის ათ საათზე, სამეურნეო ბანკის შენობაში დანიშნულია საზოგადო წლიური კრება საათფთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის წევრებისა. კრებამ, სხვათა შორის, უნდა განიხილოს და დაამტკიცოს ამხანაგობის ერთის (პირველი) წლის მოქმედების ანგარიში, ხარჯთ-აღრიცხვა 1902 წლისათვის და ამოირჩიოს გამგეობის ორი წევრი კანდიდატებით, საბჭოს წევრები და მათი კანდიდატები.

◆ დღეს, 31 მარტს, დილის ათ საათზე, დანიშნულია ძმათა მირზოევთა ნავთის მწარმოებელ და სავაჭრო ამხანაგობის წევრთა წლიური კრება, რომელმაც უნდა დაამტკიცოს ამხანაგობის ანგარიში და ბალანსი 1901 წლისა, გაანაწილოს მოგება წევრთა შორის, დაამტკიცოს 1902 წლისათვის ხარჯთ-აღრიცხვა. კრება მოისმენს აგრეთვე გამგეობის მოხსენებას ამხანაგობის საქმეების შესახებ და ბოლოს

ამოირჩევს ერთ დირექტორს ვ. გ. ყორღანოვის მაგიერად, გამგეობის წევრების სამს კანდიდატს და სარევიზიო კომისიის წევრებს.

**ს. ჩუმლაყი**· ჩვენკენ ძრიელ მშრალი გაზაფხული დაიწყო, თუ ბოლოს მარტის მთვარემ ბოლო არ მოიქნია და მით არ მოგვისპო ვენახები, უაღრესი წყარო კახელთა ცხოვრებისა. ჯეჯილებს არა უჭირს-რა, ხეხილის ყვავილები-კი მოსპო ღამის სიცივეებმა. ქურდებმაც იჩინინეს ჩვენკენ თავი: მინდვრად საქონელს ჰკლავენ და სოფლად მარნებს სტეხენ.

**ძ. თელავი**: მარტის 25 აქ გამართა ქართული წარმოდგენა ბ-ნმა სარქისოვმა. წარმოდგენილ იქმნა ,,არსენა'' და ,,ხორველობა''. წარმოდგენამ ვერ ჩაიარა კარგად უმთავრესად მოთამაშეთაგან როლების უცოდინარობის გამო. ხალხიც არ დასწრებია ბევრი.— აქეთ ჩინებული ამინდებია.

◆ 28 მარტს, საღამოს 10 საათზე, ელისაბედ ბიაძეს სახლში, რევაზის ქუჩაზე, ლამფა გადმოვარდა მაგიდიდგან და ცეცხლი მძინარე ბავშვების საბანს მოეკიდა. გამწარებული დედა ეცა საბანს, ლამპიანად გადაისროლა, მაგრამ ცეცხლი მთლად ტანზედ მოედო. მეზობლებმა გაიგეს ეს ამბავი, მაგრამ დროზე ვერ შეამტვრიეს მაგრა ჩაკეტილი კარები. ბოლოს, როგორც იქმნა, შევიდნენ ოთახში და თავ-პირ დამწვარი, ცოცხალ-მკვდარი დედაკაცი მიხაილოვის სამკურნალოში წაიყვანეს შემწეობის აღმოსაჩენად. ბავშვები უვნებლად გადარჩნენ.

## იმერეთის ამბები.

**ქუთაისი**: აქ ამ დღეებში გაიხსნა საეკკლესიო სკოლა ქუთაისის ახლად ასაშენებელ ეკკლესიის სამრევლოში მღვდლის ლ. გაჩეჩილაძის თაოსნობით. სკოლის გახსნისათანავე მისაღები ყმაწვილები—ქალები და ვაჟები ბევრი აღმოჩნდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველანი ვერ მიიღეს. უადგილობის გამო, მხოლოდ ოც და ათი ყმაწვილი მიიღო მღვდელმა და დანარჩენებს დაჰპირდა ენკენისთვისათვის მიგიღებთო. იმედია, სასულიერო მთავრობა ამ ახალ სკოლას ყურადღებას მიაქცევს და, როგორც სხვა სამრევლო სკოლებს, შემწეობას აღმოუჩენს.

იმედია აგრეთვე, რომ მღვდელი ლ. გაჩეჩილაძეც თავისს დაპირების შესრულებას შესძლებს, რადგანაც თვრამეტი წლის პრაქტიკა აქვს მასწავლებლობისა სხვა-და-სხვა სასწავლებლებში.

◆ ოზურგეთის მაზრის, სოფელ ხრიალეთის მცხოვრებლებს (30 კომლს) განუზრახავთ აბრეშუმის ჭიის მოყვანა. ამ მიზნით მათ ბევრი თუთის ხეები დაურგავთ (ბევრი კიდევაც იყო) და მიუმართავთ ყვირილის მასწავლებელ ვარდენ ჩხაიძისათვის, რომელიც ამ გლეხების მაგიერ წერილობით ატყობინებს და სთხოვს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას აბრეშუმის ჭიის თესლის (გრენის) იაფად დათმობას. თუ ამ გლეხებს საქმე კარგად წაუვიდათ, მაშინ ოთხი ხუთი სოფელი კიდევ აპირობს მეორე წლისათვის თვითონაც შეუდგნენ ამ საქმეს.

## ფიქრები...
## მხოლოდ ფიქრები.
### III

> ამინ გეტყვი თქვენ: ვიდრემდე წარჰხდეს ცა და ქვეყანა, იოტა ერთი, გინა რქა ერთი არა წარჰხდეს ჰსჯულისაგან.
> იესო.

განვლო დრომ...

მე გავინძერი. ცოცხალი ვიყავ. სხეული ჩემი განშორებოდა და სული მხოლოდ ძლიერი შეადგენდა ჩემს არსებას. სული იყო მბრძანებელი ჩემი და შიში არ მოიცავდა ჩემს გულს და გონებას.

ბოროტი სული რისხვით და წყევით გამოეშურა ჩემსკენ. ბოროტმა სულმა მახვილი მესროლა და დარაჯებმა მათრახები გადამკრეს.

მე ავსდეგი, წინ გადავდგი ფეხი და ლოცვით მივმართე ღმერთსა: მომიხსენე მე, უფალო, სასუფეველსა შენსა!

სხივი უფლისა გადმოვიდა ჩემზე. ზიზღით შევხედე მწამებელთა; შევმუსრე ბორკილნი და განვფანტე დარაჯნი...

თავზარ-დაცემული ბოროტი სული ყველაფერს ჰგლეჯდა და სწყვდა: მზის ნათელი თან-და-თან ვრცელდებოდა და ბნელის სამეფოს ბოლო ეღებოდა!

მე მივდიოდი წინ მაღალ მთისაკენ...

ყოველივე ამწვანებული იყო აქ და ჰყვაოდა. ადამიანები მხიარულობდნენ და სული ადამიანისა ნეტარებდა.

ეს იყო სამეფო სიყვარულისა, ძმობისა და სამართალისა!

ეს იყო სამეფო ღვთისა, რომელსაც ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერა დასძლევენ ვერასოდეს!

სიტყვა.

## წერილი ლეიფციგიდგან

ამ ბოლოს ხანებში რუსულსა და ქართულს გაზეთებში რამდენჯერმე იყო აღნიშნული ის გარემოება, რომ გერმანიის მთავრობა თან-და თან უზღუდავს უფლებას რუსეთის სასწავლებელში კურს-დამთავრებულთ, რომელთაც გერმანიის უმაღლეს სასწავლებლებში შესვლა სურთ. აქამდის ასეთს წესს მხოლოდ რამდენიმე სასწავლებელი მისდევდა, დღეს-კი უმაღლესს ტეხნიკურს სასწავლებლებში და სამთო აკადემიებშიაც შემოიღეს. უნივერსიტეტები და რამდენიმე პოლიტეხნიკუმი თუმცა ჯერ ჩუმად არიან, მაგრამ მოსალოდნელია, რომ ესენიც ადრე თუ გვიან გამოსცემენ კანონს რუსების წინააღმდეგ. თუ გერმანელს წინად თავი მოსწონდა მით, რომ უცხოელებს თავისს სასწავლებელში იყვანდა, ახლა იძახის, გერმანია მხოლოდ გერმანელისთვის უნდა იყოსო.

პირველად რუს მოსწავლეთა უფლება შეზღუდა ბერლინის უმაღლესმა ტეხნიკურმა სასწავლებელმა და სამთო აკადემიამ, მის მაგალითს მიჰყვა დრეზდენის უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებელი. ამ ჟამად მიუნხენის პოლიტეხნიკუმში და ფრაიბერგის სამთო აკადემიაშიც შემოიღეს ახალი კანონი და უფრო სასტიკი, ვინემ სხვაგან.

საგულისხმოა, რომ კანონი ეხება განსაკუთრებით რუსეთის ქვეშევრდომებს და არა საზოგადოდ უცხოელებს. ეს ცხადად სჩანს გაზეთების ცნობებიდგან. მაგ., მიუნხენიდგან იტყობინებიან: „ამ ჟამად გამოვიდა უფრო სასტიკი განკარგულება სამინისტროსაგან განსაკუთრებით რუს მოსწავლეთა წინააღმდეგ (speciel gegen russischen Hörer). ფრაიბერგიდგან იტყობინებიან: სამთო აკადემიამ კიდევ უფრო გააძნელა საზღვარგარეთელების, განსაკუთრებით რუსების, მიღება (insbesondere Russen). „განსაკუთრებით რუსების წინააღმდეგ“ მისთვის რომ, მაგალითად, თუ გერმანელმა რუსეთში დაამთავრა სწავლა, იმას მიიღებენ გიმნაზიის მოწმობით (аттестатъ зрѣлости); რუსებს-კი, ამ მოწმობის გარდა, მოსთხოვენ კიდევ იმის მოწმობას, რომ მათ რუსეთის უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებელში კონკურსის ეგზამენი დაუჭერიათ, ან თავისს სამშობლოს ტეხნიკურ სასწავლებელში (უმაღლესში) სტუდენტად ყოფილან. ,,გერმანული ენა-კი ისე უნდა იცოდნენ, როგორც სამშობლო ენა.'' ასეთივე წესდება გამოსცა მიუნხენის პოლიტეხნიკუმმა: „ეს ახალი კანონი იმით აიხსნებაო, გვაცნობებს დეპეშა მიუნხენიდგან, რომ საზღვარგარეთელთა შორის 41 პროცენტი რუსები არიანო“.

გერმანიაში უმეტესად ისეთი მოსწავლენი მოდიან, რომელთაც რუსეთის უმაღლეს სასწავლებელში შესვლა უძნელდებათ (მაგ. ებრაელი, სემინარიელი და სხვ.). ვისაც გიმნაზია გაუთავებია და რუსეთის უმაღლეს სასწავლებელში შესვლის ნება აქვს, ის ძვირად წამოვა აქეთ. საქართველოდგანაც ამ ბოლო დროს ხშირად მოდიან აქეთ გიმნაზიელები და სემინარიელები. ამიტომ საჭიროა ამ ახალ კანონს ყურადღება მიაქციონ და ვისაც წამოსვლა სურს, სჯობია ახლავ წამოვიდეს, სანამ სულ დაგვიკეტავენ გერმანიის სასწავლებლების კარებს.

სემინარიელები, უფრო კურს-დაუმთავრებელნი, ოთხი კლასის მოწმობით მოდიან. წინად მათ, მგონი, განურჩევლად იღებდნენ გიმნაზიელებთან ერთად, ეხლა-კი აუკრძალეს უმაღლეს სასწავლებელში შესვლა. ოთხ-კლასიან სემინარიელს შეუძლიან შევიდეს: გეტენის მაღალს ტეხნიკურს ინსტიტუტში, საშუალო ტეხნიკურ სასწავლებლებში (მაგ. მიტვაიდაში) და ლეიფციგის უმაღლეს სავაჭრო სასწავლებელში.

იქნება ვინმემ მოინდომოს ამ სასწავლებლებში შესვლა და ამისათვის ურიგო არ იქნება მათის პროგრამის შესახებ ზოგი რამ მოვახსენო მკითხველს. გეტენის ინსტიტუტი მაღალი სასწავლებელია (არა უმაღლესი) სამის წლის კურსით და რამდენიმე განყოფილება აქვს: მანქანისა, ელექტრო-ტეხნიკური, ქიმიური და სხვ. ამ სასწავლებელში კურს-დამთავრებულს შეუძლიან ფაბრიკის და ქარხნის ინჟენერობა. გადასახადი (სწავლის ფასი) წელიწადში 240 მარკაა (115 მანეთამდე). ოთხ-კლასიან სემინარიელს მიიღებენ, როგორც ,,თავისუფალს მსმენელს'', მაგრამ მსმენელს და სტუდენტს ერთი და იგივე უფლებანი ეძლევათ. ასეთივეა მიტვაიდის ტეხნიკური საშუალო სასწავლებელი, მხოლოდ გეტენის სასწავლებელს მეტი უფლება აქვს. ლეიპციგის სავაჭრო აკადემიის შესახებ „ივერიაში“ უკვე იყო წერილი ერთხელ მოთავსებული.

ვ. მოდებაძე.

## ქალაქი და სოფელი

**ს. საგარეჯო**. თუმცა ჩვენს სოფელში არსებობს სოფლის სასამართლო, ექიმიც გვყავს, ფერშალიც, ბებიაც და აფთიაქიც, მაგრამ ჩვენმა ხალხმა მაინც ვერ შეიგნო, რომ დალაქების წამლობა მავნებელია.

ამ რამდენისამე დღის წინად ყური ასტკივდა ერთს აქაურს მცხოვრებელს მეჭურჭლიშვილს. მეჭურჭლიშვილი ახალგაზრდა მხნე მუშა იყო და შეძლებულიც. შეუჩნდა აქაური დალაქი იანგავარაშვილი, რომ ჩემმა ამხანაგმა კარგი წამალი იცისო ყურის ტკივილისა და, თუ კარგ ფასს მისცემ, მოგარჩენსო. დასთანხმდა მეჭურჭლიშვილი, გარიგდნენ თხუთმეტ თუმნად (?). დალაქებმა ათი თუმანი იმ თავითვე გამოართვეს და ხუთი თუმანი უნდა მიეღოთ, როდესაც მოარჩენდნენ. იმ საღამოსვე წამალი მზათ იყო. მიუტანეს მეჭურჭლიშვილს და დაუბარეს, დღეში ორი ჩაის ჭიქა უნდა დალიოო. ერთი ჭიქა-კი დალია მეჭურჭლიშვილმა, მაგრამ საბრალო ყმაწვილი კაცი მესამე დღეს ტვინის ანთებისაგან გარდაიცვალა.

საგარეჯოსა და მის ახლო-მახლო სოფლებში სამასამდე კომლი სომეხი მოსახლეობს. ეს სომხობა, როგორც ზეპირი გადმოცემა მოგვითხრობს, თამარ მეფის დროს არის შემოხიზნული, და მას აქეთ ქართველი და სომეხი ერთმანერთში არ ირჩეოდნენ. ჩვეულება, დღესასწაულები და სხვა ქართველს და სომეხს ერთად ჰქონდათ.

ეხლა სომხებს გაუმწესეს ტერტერა, რომელსაც სამწუხაროდ, ეტყობა სცდილობს როგორმე დააშოროს მამა-პაპით შეერთებული ორი ტომი. ამას წინად ერთს აქაურს ვაჭარს ნათლობა ჰქონდა და სტუმრების მომეტებული წილი ქართველობა მიეწვია. როდესაც ტერტერამ ნათლობა გაათავა, სამთხვევად ჯვარი მოაწოდა,—სტუმრებში ამოარჩია სომხები, იმათ ამთხვევინა, ქართველობა კი ახლო არ მიუშვა. მასპინძელმა ჰკითხა: რატომ ამათ არ ამთხვევინე ჯვარზედაო? ტერტერამ—სომხურად უპასუხა: „ქართველები არიანო, მისთვისაო“. გაანჩხლდა მასპინძელი და სახლიდამ დაითხოვა ტერტერა.

ვანო.

**საბუნჩა**. „დადგა გაზაფხული, გაიშალა ხეხილი, აყვავდა მთა-ბარი, იწყეს მდინარეებმა შუილი, აჭიკჭიკდნენ ფრინველნი და ყოველ ამის ცქერით ჰხარობს სული და გულიო“... ამას ვერ იტყვის აქაურ გახრიოკილ ბუნების მაყურებელი... ბაქო-საბუნჩის, ზაბრატ-რამანასი და ბალახანა-ბიდ-ბადას *) გაზაფხული მხოლოდ მაშინაა, როდესაც აქ მუშაობა, ნავთის ამოდება, მისი ყიდვა-გაყიდვა და ფულის მოგებაა... ახლა-კი ამის მაგიერ საშინელი «კრიზისი» მძვინვარებს. წინა წლებთან შედარებით დღეს აქ $1/3$ მუშაობს [illegible] და ამ საქმეს საშინლად დაუღონებია „დიდები“ და «პატარა». მხოლოდ „დიდების“ ე. ი. მსხვილ კაპიტალისტების მწუხარება თვალთ-მაქცობა-ფარისევლობაა და სხვა არაფერი: ეს «კრიზისი» სულ მათი საქმეა; იმათ კრიზისი ახარებს, ყოველ მხრივ ხელსაც უწყობენ, რომ დიდხანს გასტანოს კიდევ და მის მეოხებით სამუდამოდ მოსპონ მათზე უფრო სუსტი და უძლურები... არიან ისეთი ქარხნები და „კანტორები“, რომ 4—5 თვეა, რაც თავიანთ და მოხელეებისათვის ჯამაგირი არ მიუციათ... სასურველია ამ „კრიზისს“ მალე მოეღოს ბოლო და ამნაირ უბედურებას ყურადღება მიექცეს, ,,ისგანაც ჯერ არის.. საჭიროა, რადგანაც „კრიზისს“, სხვაუბედურებასთან, ძარცვა-გლეჯა და კაცის კვლაც თან მოჰყვა. ღამე არ გავა ისე, რომ აქ რამდენიმე კაცი არ მოჰკლან—არ გაძარცონ და ამატომ, რადაი კარგათ დაღამდება, აქ მარტო ფეხით სიარული სახიფათოა... საჭიროა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება იმასაც, რომ აქ ათასობით დახეტიალობენ ქუჩებში სამკვლის ხასიათის მთვრალი ქალები და ავრცელებენ მრავალ ავადმყოფობას...

ამინდები აქეთ ჯერ-ჯერობით ძალიან კარგია. როგორც დღე, აგრეთვე ღამეც გვარიანად თბილა.

პეტრე.

---

*) საბუნჩა, ზაბრატ, რამანი, ბალახანა და ბოლ-ბაღა ჰქვია იმ ადგილებს, სადაც ნავთი ამოდის.

პეტრე.

## რუსეთი

მოკლე დროში სახელმწიფო საბჭოს საერთო კრება განიხილავს დებულებას საერობო მმართველობის შესახებ იმ გუბერნიებში, სადაც ერობა არ არის შემოღებული.

— კიევში 17 მარტიდგან მოქმედება დაუწყია თამბაქოს მწარმოებელთა არტელს. არტელის წევრები არიან მუშები; არტელს აქვს საკუთარი ფაბრიკა და მაღაზია.

— „ვიტ. გუბ. ვედ.“-ში დაბეჭდილია: ვიტებსკის გუბერნატორის განკარგულებით დატუსაღებულ იქმნა 29 ებრაელი ხელოსანი ბოროტის განზრახვით კრების მოხდენის გამო—10 კაცი ორის თვით და 19—ერთის თვით; სახლის პატრონი-კი დაპატიმრებულ იქმნა 3 თვით.

## უცხოეთი

**სამხრეთ-აფრიკის ომი**. ამ დღეებში გემით პორტსმუტს მიიყვანეს პორუჩიკი ვიტტონი, რომელსაც პიტერსბურგის მახლობლად ტყვე ბურთა დახოცვაში მონაწილეობის მიღებისათვის სამუდამოდ კატორგაში გაგზავნა მიუსაჯეს. იგი ლიუისის საპყრობილეში უნდა ჩასვან. ვიტტონს უთქვამს, რომ უსამართლოდ მსჯიან, მე მხოლოდ უფროსთა ბრძანებას ვასრულებდიო. თვით ტყვეთა გაწყვეტის პროცესის შესახებ გაზეთები შემდეგს იუწყებიან:

„პორუჩიკებს მორანს, განკოკს, პიკტონს და ვიტტონს ის ბრალი ედებათ, რომ მათ სხვა-და-სხვა დროს ბურთა რამდენიმე ტყვე დაჰხვრიტეს და სხვებსაც აქეზებდნენ ასეთ საზიზღრობის ჩასადენად. გარდა ამისა ორს მათგანს (მორანს და განკოკს) გერმანელ მისსიონერის ჰესსეს მოკვლაც ჰბრალდებათ.

## ფელეტონი

### ფუტკარი.

(ვუძღვნი კნ. ს. ამირეჯიბისას)

სხვებმა უმღერონ ვარდ-ბულბულს,
ადიდონ ლომი ძლიერი;
თვალ-მარგალიტით შემკონ
შვენიერება ცბიერი.

—

სხვა არის ჩემი გალობის
და ჩემის ჩანგის საგანი:
პატარა ბუზი... ფუტკარი,
იობის ქიათაგანი.

—

ფუტკარო, ჩემო ფუტკარო,
ბზუილავ მოუსვენარო,
უსამართლობით დევნილო,
სამართლიანად მკბენარო!..

—

სიტკბოს რომ ეძებ სათაფლოს,
მიტომ ხარ მოუსვენარი...
და ვინც ხელს გიშლის შრომის დროს,—
მხოლოდ იმისი მკბენარი.

—

მაგრამ ქვეყანა უძღები
განა დაეძებს სიმართლეს?
ბნელს შენის სანთლით ინათებს
და ბნელს ჰფენს შენსა სინათლეს.

—

შენ არ გიკარებს, თაფლს-კი სჭამს,
მშრომელის უმადურია...
ოღონდ-კი დასტკბეს, რას დასდევს,
თუ სიტკბო სადაურია?!.

—

და შენ-კი, ჩემო ფუტკარო,
არ უსმენ ქვეყნის ჰორებსა,
ერთი უგნური რომ შეთხზავს
და ორი იმეორებსა;

—

მაინც დაბზუი, დაფრინავ,
არც იშლი დროზე კბენასა,
ქვეყანას თაფლუჯს უმზადებ
და სანთელს უნთებ ზენასა...

—

სარკე და სახე მგოსნობის,
ემბლემაცა ხარ შრომისა,—
შენათხზი სიყვარულისა
და წმინდა გულის წყრომისა.

—

ფუტკარო, ჩემო ფუტკარო,
იობის მატლო მცირეო!
ჩანგი გთხოვს, მგოსნის სიტყვები
მსხვერპლივით შეიწირეო!..

აკაკი.

## საფრანგეთის ლიტერატურა

დიდის ბრწყინვალებით იდღესასწაულა საფრანგეთმა ასის წლის დაბადების დღე ვიქტორ ჰიუგოსი, ამ მე-19 საუკუნის დიდებულის პოეტისა. აზვირთებას, აღფრთოვანებას მოჰყვა დამშვიდება, დაყუდება. ამიტომ ახლა შესაძლოა უფრო გულ-დამშვიდებით განვსაჯოთ შესანიშნავის მგოსნის მნიშვნელობა. ყველამ იცის, რომ საერთო აღტაცების ზვირთები ისე მაღლა არსად აიწევს ხოლმე, როგორც საფრანგეთში, მაგრამ ამ ხანად-კი უზომო ქება-დიდების კონცერტში აქა-იქ მოისმოდა ფხიზელი ხმაც ჭეშმარიტის კრიტიკისა.

ბევრმა იკითხა: რა იყო ვიქტორ ჰიუგო თვისის ერისა და საფრანგეთის ლიტერატურისათვისაო? და ამის პასუხად ყველამ ამ დიდებულის ,,კერპის'' სასარგებლოდ არ ილაპარაკა.

უპირველეს ყოვლისა ჰიუგომ ჰშთაბერა ახალი სული საფრანგეთის პოეზიას, შეჰქმნა ახალი, პოეზიით აღსავსე დრამა და მით დიდი და მაღალი მნიშვნელობა მისცა რომანტიზმსა. შემდეგ ვიქტორ ჰიუგო იყო სავსებით გამომხატველი საფრანგეთის სულისა (l'ésprit gaulois): ყოვლად უებარი, ხელოვანი, ენამჭევრი მოლაპარაკე და, რასაკვირველია, ფრაზიორი, მოხუც დიუმა-მამასავით გონება-მახვილი მწერალი მოთხრობებისა, დიდი ოსტატი ლექსთა-თხზვისა და დასასრულ სიტყვა-მოსწრებული და შეუბრალებელი მგმობელი. ვინც-კი ერთხელ ხელში ჩაუვარდებოდა, აღარ დაჰზოგავდა, ხოლო, პირ-იქით, ვინც მოსწონდა, ცამდინ აიყვანდა. გრძნობა ზომიერებისა სუსტი ჰქონდა და, როგორც ყოველ ნამდვილ ფრანგს, იმასაც სიტყვა უფრო მეტი ჰქონდა, ვიდრე აზრი. მაგრამ, სამაგიეროდ, რა წყალივით მომდინარეობდა მისი მეტყველება, რა მარგალიტის მძივივით აასხამდა ხოლმე თავის მოკლე-მოკლე ბრწყინვალე ფრაზებს! არც ბერანჟეს, არც ალფრედ დე მიუსეს არ შეეძლო გამოეხატა სულ უბრალო აზრი ანუ სურათი იმისთანა ლამაზისა, მოსწრებულისა და ძლიერის სიტყვებით; საფრანგეთის მგოსანთა შორის მე-19 საუკუნეში არც ერთს არა ჰქონდა იმდენი მწველი, მგზნებარე სიტყვები, იმდენი ბრწყინვალე შედარებანი და დასასრულ იმდენი უბრალო ზედ-შესრული სახელები, რომელიც მის ხელში ძვირ-ფას თვალ-მარგალიტად გადიქცევოდა ხოლმე. ზედ-შესრული სახელები იყო იმისი საყვარელი ლვიძლი შვილები. არც ერთი სხვა ნაწილი სიტყვისა ისე არ უყვარდა, როგორც ეს ზედ-შესრულნი სახელნი, რომელნიც ისე ჰხტოდნენ, კოწიაწობდნენ და ცელქობდნენ მის ლექსებსა და დრამებში, როგორც კლასიდან გამოცვივნული პატარა შეგირდები. არსებით სახელების ხმარებაში-კი მეტად ძუნწი იყო ვიქტორ ჰიუგო. გაჭირვებისათვისა ჰქონდა შენახული ამისთანა სიტყვები და, როცა-კი იხმარდა, ისე გასტყორცნიდა, როგორც ისარი გასტყორცნოს კაცმა მტრის გულის გასაგმირად.

მაგრამ იფარებოდა-კი ამ სიტყვებ ქვეშ მხურვალე გრძნობა? ვგონებ, რომ ძალიან მცირედ. 50 წლის განმავლობაში ჰჟღერდა სამგლოვო ჩანგი ვიქტორ ჰიუგოსი და ლექსი მისი ჰმოქმედობდა ერის გონებაზედ, მაგრამ ამ ნახევარ საუკუნეში იშვიათად დაუმღერია ისე, რომ ღრმად ჩასწვდომოდეს ერს გულში. როცა კითხულობ ლამარტინსა, ბერანჟეს, ალფრედ დე მიუსეს და თუნდა ვერლენსაც, გული გეკუმშება, რაღაცა გიხუთავს სულს და ჰგრძნობ, რომ ამ სიტყვებ ქვეშ ჭეშმარიტი მწვავე გრძნობაა დამალული და არა მარტო სურვილი მკითხველის გატაცებისა.

ვიქტორ ჰიუგოს აზრები-და? აზრები მრავალია მის სხვა-და-სხვა თხზულებაში, მაგრამ რა ჯურისაა ეს აზრები? ჟულ ლემეტრი უწოდებს „rudimentaires et puériles“ (პირველ-სახისა და საბავშვო)! მართალიცაა. ამოჰკრიბეთ იმის თხზულებათაგან ყველა ესრედწოდებული „აზრები ანუ იდეანი,“ მიატრიალმოატრიალეთ, გასინჯეთ კარგად მუშტრის თვალითა და დაინახავთ, რომ ეგ აზრები და იდეანი ბევრგან შეგხვედრიათ, მრავალჯერ გაგიგონიათ, რომ ეგ მხოლოდ „მასალაა“, შეუმუშავებელი, ფილოსოფიურს ბრძმედში გამოუტარებელი. არ ეტყობა იმ აზრებს არც სიღრმე, არც სისტემა, როგორც ეს სჩვევია ჭეშმარიტის ფილოსოფოსის აზრებსა. ფილოსოფიური სახელოსნო ვიქტორ ჰიუგოსი ძალიან სადაა, მაგრამ, რაკი იგი ნამდვილი და საუკეთესო ფრანგია მე-19 საუკუნისა, მის ხელთ არის მთელი სიბრძე, რომელიც-კი ტრიალებს მაშინდელს სალონებში.

შემდეგ თაობათათვის დიდი რომ გონებრივი საზრდო არ დარჩება მის თხზულებათა კრებულში, მაგრამ მაინც დიდხანს იქნება ვიქტორ ჰუგო „სათაყვანო“ ყველა შუათანა განათლების ფრანგისათვის, რადგან იგი განხორციელებაა მათის აზროვნობის წესისა, მათის ავ-კარგობისა და გემოვნებისა.

იქნება იკითხოთ, მაშ რაღაა დიდება ვიქტორ ჰუგოსიო? მისი დიდებაა ზე-შთაგონება, აღფრთოვანება სულისა. მე-19 საუკუნის მგოსანთა შორის საფრანგეთში არც ერთს არ უღვიოდა გულში იმდენად ის ღვთაებრივი ცეცხლი, რომელსაც ზე-შთაგონებას უწოდებენ. როცა ვიქტორ ჰიუგო ლაპარაკს დაიწყებდა, გეგონებოდათ, რომ სული მისი აღიზიდება ცად მიმართ, მიჰფრინავს მაღლამაღლა და თან მიაფრენს ყველას, ვინც-კი ისმენს მის აღფრთოვანებულს საუბარსაო.

ეს არის მისი უმთავრესი ძალა და ამ ნიჭს სხვათა აღტაცებისა და აღფრთოვანებისას დიდად აფასებენ ფრანგნი.

მეორე საფუძველი ვიქტორ ჰიუგოს დიდებისა ის გარემოებაა, რომ იგი იყო განხორციელება მთელის საფრანგეთის მაშინდელის ცხოვრებისა, ესე იგი მთელის მე-19 საუკუნისა. ყოველ საპოლიტიკო, საზოგადო და თითქმის სალიტერატურო საგნისა და საკით-

საბრალმდებლო ოქმში ნათქვამია, რომ მორანმა, პიკტონმა და კ—ამ განუსაჩივრებლად დახვრიტეს რამდენიმე ტყვე ბური; შემდეგ შეიტყუეს საფარში ბურების მთელი ჯგუფი, რომელსაც აზრადაც არ ჰქონია წინააღმდეგობის გაწევა, და მთლად ამოჟლიტეს. რაც შეეხება გერმანელ მისსიონერებს, ამბობს საბრალმდებლო ოქმი,—იგი მორანტმა და განკოკკმა იმ ეჭვით დაჰხვრიტეს, რომ ვითომც მას (ჰესსეს) განზრახვა ჰქონდა მათგან რვა ტყვე ბურის დახვრეტის ამბავი პიტერსბურგს მთავრობისათვის გაემჟღავნებინა. მაგრამ მათ მოახერხეს ბრალდების ამ მუხლში გამართლება, რადგან დაამტკიცეს თავისი alibi. ბრალდებულნი არ უარჰყოფენ ტყვე ბურების დახოცვის ფაქტს, მაგრამ თავს იმით იმართლებენ, რომ ყოველივე ეს კაპიტან გენტის ბრძანებით ჩავიდინეთო (რომელიც ეხლოხან ომში მოჰკლეს). მათის სიტყვით 4 დახვრეტილი ბური იმ მოხეტიალე ბრბოს ნაწილს შეადგენდა, რომელნიც რკინის გზის ლიანდაგს აფუჭებდნენ. ბურების ასეთი უწესოებით გაანჩხლებულმა გენტმა—ბრალდებულთა სიტყვით, ბრძანება გასცა, ტყვედ წაყვანის მაგივრად ყველანი გაეწყვიტა, ვინც კი ხელში ჩაუვარდებოდათ. მორანი პირველად არ ასრულებდა ამ ბრძანებას, მაგრამ გენტის სიკვდილის შემდეგ-კი უარჰყო ტყვე ბურთა პატივება. სასამართლომ გორანტსა და განკოკკს დახვრეტა მიუსაჯა და ეს განაჩენი 18 დღის შემდეგ მოიყვანეს სისრულეში, ასე რომ მათ არ შეეძლოთ მეფისათვის თხოვნის მირთმევა მოწყალების შესახებ. პორუჩიკ ვიტტონს მიესაჯა საუკუნოთ კატორგაში გაგზავნა, პორუჩიკ პიკტონს სამსახურიდგან დათხოვნა. მაიორმა ლენეჰანმა, იმ კორპუსის კომანდირმა, რომელსაც ბრალდებულნი ეკუთვნოდნენ, შენიშვნა მიიღო იმისთვის, რომ თავისს დროზედ არ გაგზავნა მოხსენება იმ ფაქტების შესახებ, რომელიც მან უკვე იცოდა“.

„Daily Express“-ის ცნობით, ზემორე მოხსენებულ აფიცერთა გარდა კატორგაში გაგზავნა მიესაჯა რამდენსამე ჯარის-კაცსაც, რომელნიც ეხლა, ტუსაღების სახით, კაპშტადტის ნავთ-სადგურში მუშაობენ.

**საფრანგეთი.** მელინის მომხრეებმა, ეგრედ წოდებულმა „პროგრესისტთა კავშირმა“, შემდეგის მანიფესტით მიჰმართეს ამომრჩევლებს: „ჩვენ ხელს გავუწოდებთ მხოლოდ მტკიცე რესპუბლიკელებს, მონარქიულ ან პლებისციტარულ რეჟიმის მოწინააღმდეგეთ. ჩვენ მომხრეები ვართ უმაღლეს მოქალაქობრივ უფლებისა და გვინდა, რომ იგი პატივსა სცემდეს ყველა მოქალაქის სვინიდისის თავისუფლებას და სწავლის თავისუფლებას სახელმწიფოს კანტროლობით. წინააღმდეგნი ვართ თავისუფალ შრომის შელახვისა და უარ-ვყოფთ რაიმე კანონებს ამ შრომის საქმეში. შრომა თავისუფალი უნდა იყოს. მომხრენი ვართ გადასახადთა უფრო დემოკრატიულად განაწილებისა, მაგრამ უარ-ვყოფთ ისეთ პროექტებს, რომელთაც აზრად ინკვიზიციონური ზომები და თვით-ნებობა აქვს. სახელმწიფოს როლი უნდა შეიზღუდოს და არა გაფართოვდეს. ჩვენის ფინანსების განკარგვებას ველით ინდივიდუალურ და ეროვნულ მოქმედების განვითარებისა და ხელმოჰირნეობისაგან. ჩვენა გვსურს, რომ ჯარსა და ფლოტს მხოლოდ დისციპლინა და კანონების შესრულება მოსთხოვონ და რომ ააცდინონ ისინი პოლიტიკურ გავლენას. დასასრულ, ჩვენა გვსურს სამშობლოს სიყვარულმა საფრანგეთი გააერთიანოს“. როგორც ამ მანიფესტიდგანა სჩანს, მელინისტები წინააღმდეგნი არიან იმ კანონებისა, რომელსაც აზრად შრომის დაკანონება, მუშათა და მუშაობის გამცემთა დამოკიდებულების განწესრიგება და სხვა აქვს. არც საკვირველია: მელინისტთა უმრავლესობას კაპიტალისტები შეადგენენ.

**ინგლისი.** ახალშენები უკმაყოფილებას აცხადებენ იმპერიალიზმისა და სამხრეთ-აფრიკის ომის გამო. უკმაყოფილებანი და პროტესტები გამოიწვია ინგლისის მთავრობის საქციელმა, რომელმაც ხელ-ახლა მიჰმართა ახალშენებს, დაგვეხმარეთ სამხრეთ-აფრიკის ომშიო. კანადის ფრანგული გაზეთები დიდ პროტესტს აცხადებენ სამხრეთ-აფრიკაში კანადის ჯარის გაგზავნის წინააღმდეგ. კონსერვატიული გაზეთი „Presse“ სწერს, რომ მთელის იმპერიისათვის დიდად საშიშოა ჩემბერლენის იმპერალისტური პოლიტიკა, იგი გამოიწვევს მტრობას ჩრდილოეთ ამერიკის შტატების მხრივაო. „თუ ინგლისი,—უმატებს გაზეთი,—დასუსტდა, შტატების რესპუბლიკა იზრუნებს კანადისათვისო“. მეორე გაზეთი სწერს, ინგლისის მთავრობისა და სახელისათვის სამარცხვინოა კანადის ჯარის გაგზავნა საჟლეტად სამხრეთ-აფრიკაშიო.

**ოსმალეთი.** ბელგრადული გაზეთები სავსეა ალბანიიდგან მიღებულ დეპეშებით. როგორც ამ დეპეშებიდგანა სჩანს, ალბანიაში სრული ანარქია უნდა იყოს. ყველა გზაზედ ყაჩაღები დათარეშობენ თურმე, ყველა სოფელში მკვლელობანია. ბევრგან ტელეგრაფის ბოძები დასთხარეს და მავთულები დასჭრეს. მთავრობამ რაზმი გაგზავნა ტელეგრაფის შესაკეთებლად. ბრბოებმა მთლად ეს რაზმი ტყვედ წაიყვანეს. მთავრობას არ ძალ-უძს წესიერების აღდგენა. ზოგგან ჯარი აჯანყდა. ასე მოიქცნენ, მაგალითად, იანინსა და ბერატში. ამ გვარ ამბებს ჩერნოგორიის გაზეთებსაც ატყობინებენ. ჩერნოგორიამ ალბანიის საზღვარზედ მეციხოვნენი გააძლიერა თავის ადგილების დასაცველად. ალბანიისა და მაკედონიის გარდა არეულობანი კოსტურის ოლქშიც არის. ამ ოლქში მოხელენი საშინლად სდევნიან თურმე ქრისტიანებს. ოსმალების მტარვალობისაგან თავის დასაღწევად ამას წინად მასწავლებელმა კურმან სტეფოვმა და იმისმა ცოლმა თავი მოიკლეს. სტეფოვისა და იმის ცოლის თავები გუბერნატორს გაუგზავნეს. სტეფოვის გამო ბევრი მშვიდობიანი მცხოვრები დაიჭირეს. ვიდრე დააპატიმრებდნენ ყველას მათრახებითა და ჯოხებითა სცემეს. ველესსა, გევგელსა და კუკუშში მცხოვრებთა და ჯარს დიდი შეტაკება ჰქონიათ.

**ჩინეთი.** ჩინელებს უჩივიან და ჩინეთში მყოფი თვით ევროპიელნი-კი ერთმანერთს სჭამენ. როგორც „ლაფანის სააგენტოს“ ატყობინებენ, პეკინში ამას წინად დიდი ჩხუბი მოსვლიათ საფრანგეთის, გერმანიისა და ინგლისის ჯარის-კაცებს. ერთ მხარეს ფრანგები და გერმანელნი ყოფილან, მეორე მხარეს—ინგლისელნი. ჩხუბი სასმელების დუქანში დაუწყვიათ. ჯერაც ვერ გაუგიათ ჩხუბის მიზეზი.

## წვრილი ამბები

ერთ ჟურნალში საყურადღებო სასტატისტიკო ცნობებია დაბეჭდილი ევროპის მცხოვრებთა რაოდენობის შესახებ. ავტორი საფრანგეთიდგან იწყებს და ამბობს, ყველამ კარგად უწყის, რომ ამ სახელმწიფოს მცხოვრებთა რიცხვი კლებულობსო. 1901 წელს საფრანგეთში 38,600,000 მცხოვრები იყო; 1896 წელთან შედარებით საფრანგეთს მხოლოდ 330,000 სული მოემატა. მომატებათ არც-კი ჩაითვლება ესა, რადგანაც თითქმის ამდენი უცხო-ქვეყნელი მიეწერა საფრანგეთს. 1850 წელს საფრანგეთში ყველაზედ მეტი მცხოვრები ითვლებოდა. მაგრამ ამის შემდეგ გერმანიას 21 მილიონი მიემატა, ინგლისს, ირლანდიასა და შოტლანდიას—14 მილიონი, ამდენივე ავსტრ-უნგრეთს, საფრანგეთი-კი ერთ წერტილზედ შეჩერდა.

ინგლისში უელსითურთ 1901 წელს 32.526,075 მცხოვრები იყო. 1891 წელთან შედარებით 12% მოემატა.

1900 წლის აღწერით გერმანიაში 56.345,014 სული აღმოჩნდა. მოკლედ რომ მოვჭრათ, 75 წლის განმავლობაში გერმანიის მცხოვრებთა რიცხვი გაორდა.

ავსტრ-უნგრეთში იმავე წლის აღწერით 47 მილიონი იყო. ათის წლის განმავლობაში მოემატა 4 მილიონი.

შვეიცარიაში 1900 წელს ითვლებოდა 3.312,751 სული. 1888 წელთან შედარებით 400,000 სულით მეტი.

იტალიაში 1901 წლის აღწერით აღმოჩნდა 32.449,754 სული, 1881 წელს-კი 28.459,628 იყო, მოემატა 4 მილიონი.

ნორვეგიაში 1900 წელს ითვლებოდა 2.231,000; ათის წლის განმავლობაში მოემატა 230,478 სული.

1899 წელს ბელგიაში 6.744,532 სული აღმოჩნდა, ხოლო ჰოლანდიაში იმავე წელს—5.103,924 სული.

⁂

„Deutsche Rundschau“-ში დაბეჭდილია ერნსტ ჰეკელის უკანასკნელი წერილი მალაის კუნძულზედ მგზავრობის შესახებ. შესანიშნავი ევოლიუციონისტი დიდ ადგილს უთმობს თავისს წერილებში მალაელ მაიმუნს. დაწვრილებით ასწერს განსაკუთრებით ერთ მაიმუნის ცხოვრებას, იმის ზნე-ხასიათს. ეს მაიმუნი პატარა გიბბონი იყო, რომელიც რამდენიმე თვე ჰეკელის სახლში სცხოვრებდა კუნძულ იავაზედ. ადგილობრივი მცხოვრებნი ამ ჯიშის მაიმუნს „ოაი“-ს ეძახიან, რადგანაც იგი ხშირად იძახის: „ოა“, „ოა“. ტანით ოა ექვსის წლის ბავშვსა ჰგავნდა. განსხვავება ის იყო, რომ ოას უფრო პატარა თავი ჰქონდა, მოკლე ფეხები და გძელი ხელები, ვიდრე ექვსის წლის ბავშვს. ოთხით და არასოდეს არ დადიოდა, იგი ყოველთვის ფეხებზედ იდგა. გადახტომა საოცარი სცოდნია ამ მაიმუნს. მალაებს საშინლად ჰყვარებიათ მაიმუნები. ისეთის სიყვარულით ექცევიან მათ, როგორადაც ბავშვებს. ჰეკელთან მცხოვრებ მაიმუნს ძალიან ჰყვარებია სისუფთავე, პირს მალი-მალ იბანდა თურმე. ჰეკელი ძალიან აკვირდებოდა იმის ლაპარაკს. უფრო ხშირად მაიმუნი ოა! ოას! ამბობდა. გაჯავრებული ხინკ-ხინკსაც“ წამოიძახებდა ხოლმე, მაგრამ ისე სცვლიდა კილოს, რომ ჰეკელი ადვილად მიუხვდებოდა ხოლმე სურვილს. ხშირად ის თავის თავს «ელაპარაკებოდა», სხვებთანაც უყვარდა „საუბარი“. ამასთან სიტყვებს, ხელებსა და თავსაც აშველებდა. ძალიან ამაყობდა ოა თავის წითელ ქუდით, რომლის ღილებსაც ყოველთვის გულმოდგინეთ შეიბნევდა ხოლმე. პირველი ადგილი ოას ცხოვრებაში ჭამას ეჭირა: იკვებებოდა ხილით, ამასთან ადვილად და კოხტად აცლიდა კანს ფორთოხლებსა და ბანანებს. სასმელად რძესა და კაკაოს აძლევდნენ. უყვარდა ძალიან ტკბილი ღვინო, ხშირად „გადაჰკრავდა“ ხოლმე კიდეც. წერილის ბოლოში ჰეკელი ამბობს, რომ დარვინის თეორიის მიმდევართათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მაიმუნთა ცხოვრების შესწავლასაო.

⁂

ზემოხსენებულ ჟურნალშივე დაბეჭდილია საყურადღებო წერილი ბრანდტისა იაპონურ დრამის შესახებ. „მე-17 საუკუნიდგან იაპონური დრამა,—სწერს ბრანდტი,—სრულიად განთავისუფლდა ჩინურ სცენის სტილისა და ტრადიციებისაგან, რომლის გავლენის ქვეშაც დიდხანს იმყოფებოდა. ამ ჟამად იაპონური დრამა, შინაარსით თუ არა, აღსრულებით მაინც ნატურალისტურია. იაპონურ თეატრში უმთავრესად ისეთი ხალხი დადის, როგორც პარიჟის ბულვარის თეატრებში. ადგილობრივ საზოგადოებას ძალიან უყვარს ჟლეტა-ხოცვა, ომები სცენაზედ და არტისტებიც სისხლს არა ჰზოგავენ. დიდი გასავალი აქვს პიესებს, რომელთა შინაარსიც იაპონიის ძველ ისტორიიდგანაა აღებული“. იგივე ბრანდტი ორიოდე სიტყვას იაპონურ კარიკატურაზედაც გადმოგვცემს. ეს კარიკატურა ორიგინალურია. კარგადაც ხატვენ იაპონელნი, მაგრამ იაპონური იუმორი დიდად განსხვავდება ევროპიულ იუმორისაგან. კარიკატურების შინაარსს,—ამბობს ბრანდტი,—ყოველ-დღიური ცხოვრება შეადგენს. დიდ ადგილს კარიკატურაში იაპონელნი ქალსა და ღვინოს უთმობენ. ამ ბოლოს დროს იაპონიაში პოლიტიკურმა კარიკატურებმაც მოიკიდეს ფეხი.

## სასოფლო მეურნეობა.

### სამეურნეო ფრინველთა მომშენებელი საზოგადოება საქართველოში.

«ივერიის» 38 ნომერში ჩვენ მოვახსენეთ მკითხველს იმის შესახებ, თუ რა ნაირი მოთხოვნილებაა ევროპაში სამეურნეო ფრინველებისა და კერძოდ კვერცხებისა და რა ადგილი დაიჭირა ამ ბოლო დროს საქართველომ კვერცხების ვაჭრობაში საზღვარ-გარეთ: ლონდონს, ბერლინს, პარიჟს და სხვა დიდ ქალაქებში. ისიც აღვნიშნეთ, თუ რამდენად საჭიროა ეხლა ჩვენში ფრინველების გაუმჯობესება, კვერცხების გადიდება, რომ არ დავკარგოთ ის ბაზრები, რომლებმაც გამოგვძებნა და მილიონებს გვპირდება, და რომ ამისათვის საჭიროა არის გავრცელდეს ჩვენში ფრინველთა მომშენებელნი საზოგადოებანი.

ჩვენი აზრი და რჩევა არ დარჩენილა უნაყოფოდ და ამ ორ თვეში, პატივცემულ მასწავლებლების თაოსნობითა და დახმარებით, ჩვენ მოგვივიდა განცხადება სამის საზოგადოების წარმომადგენელთაგან ორს მაზრაში იმის შესახებ, რომ ნება მიეცეთ დაარსონ რუსეთის სამეურნეო ფრინველთა მომშენებელ საზოგადოების განყოფილებანი. გარდა ამისა, როგორც კერძოდ შევიტყე, ამისთანავე საზოგადოების დაარსებას აპირებენ კიდევ თხუთმეტ ადგილას, მაგრამ წესდებისა და დაწვრილებითის ცნობების უქონლობის გამო საქმე დროებით შეჩერებულა.

რომ არ შეფერხდეს ამ დიდად საჭირო და სიმპატიურ საზოგადოების დაარსებისა საქმე ერთობ კავკასიაში და კერძოდ ქუთაისისა და ტფილისის გუბერნიებში, მე, თანხმად რუსეთის სამეურნეო ფრინველების მომშენებელ საზოგადოების საბჭოს მინდობილობისა, უმორჩილესად ვთხოვ ყველას, ვინც ისურვებს ასეთის საზოგადოების დაარსებას, მოითხოვოს ჩემგან ყოველგვარი ცნობები და დიდის სიამოვნებით დაუყოვნებლივ მივაწოდებ, რაც საჭირო არის, დაწვრილებით. აქ მხოლოდ შემოკლებით მოვახსენებ მკითხველს საზოგადოების საგანს, საშუალებას და იმასაც, თუ რა ნაირად შეიძლება საზოგადოების დაარსება.

საზოგადოებას საგნად აქვს ყოველის მხრივ გააუმჯობესოს სამეურნეო ფრინველების ჯიში იმ ადგილს, სადაც საზოგადოება არის დაარსებული: სოფელს, მაზრას თუ გუბერნიაში. ამისთვის საზოგადოებას ნება აქვს:

ა) დაწვრილებით განიხილოს საჭიროებანი ადგილობრივ ფრინველთა მოშენებისა;

ბ) გამართოს გამოფენა, გახსნას სკოლა, გამართოს საფრინველოები, გამოიწეროს ფრინველები სასურველის ჯიშისა და სხვ.;

გ) შუამავლად გახდეს მყიდველთა და გამყიდველთ შორის;

დ) დააჯილდოვოს მედლებით, დიპლომებით, მოწმობით და სხვაფრივ ღირსეულნი ფრინველის მომშენებელნი;

ე) ჰბეჭდოს წიგნები და სხვა-და-სხვა.

ჩამოთვლილ საშუალებათაგან საზოგადოება პირველად იმას ხმარობს, რომელიც უფრო საჭიროდ მიაჩნია და შესაძლებელია ფულის მიხედვით.

ვისაც ჰსურს ასეთის საზოგადოების დაარსება, იმან თავისი და კიდევ ოთხის კაცის ან ქალის ხელმოწერილი განცხადება უნდა შემოიტანოს და ეს განცხადება ოფიციალურის შუამდგომლობით საზოგადოების დაარსებაზედ წარდგენილი იქნება მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის სახელზედ. განცხადება უნდა დაიწეროს: **Въ Совѣтъ Россійскаго Общества Сельско-хозяйственнаго Птицеводства, состоящаго подъ Августѣйшимъ покровительствомъ Его Императорскаго Высочества Великаго Князя Петра Николаевича** და გამოგზავნონ ჩემ სახელზე—ქუთაისს. Н. Мкурнали.

მსურველს შეუძლიათ მიიღონ ჩემგან საზოგადოების წესდება და განკარგულება.

იმედი მაქვს, რომ ჩვენს მხარეს მალე მოეფინება ეს საზოგადოებანი, რომ შეეძლოთ დაემხმარონ უქონელებს, რომელნიც თავის ბაზარში გეიძიან.

გავათავებ ამ წერილს ერთის ძლიერ სასიამოვნო და ჩვენთვის საყურადღებო ახალის ამბით:

მოსკოვში სამეურნეო ფრინველების მომშენებელ საზოგადოებასთან დაარსდა ეხლა ბიურო, რომელიც ამ შემოდგომიდგან აპირებს კვერცხების და ფრინველების იაფად ყიდვას და ზღვარ-გარეთ დიდ ქალაქებში გაგზავნას. ამ ნაირად, სადაც ამ საზოგადოების განყოფილება დაარსდება, იქ ჩვენს მემამულეებს ძლიერ ადვილად შეეძლებათ სამუდამოდ თავიდგან მოიშორონ წვრილ-ჩარჩები; პირდაპირ საზოგადოებას ჩააბარებენ კვერცხებს და ფრინველებს და ბიუროს შემწეობით გაგზავნიან საზღვარ-გარეთ. რაღა თქმა უნდა, რომ ევროპის ბაზარზე საზოგადოებას უფრო ადვილად ახლდება თავიანთ გამოტანა, ვიდრე კერძო კაცს. ამ გვარად საზოგადოებას შეუძლიან უდიდესი შემწეობა აღმოუჩინოს ჩვენს სოფელს.

რუსეთის სამეურნეო ფრინველთა მომშენებელ საზოგადოების განყოფილებათა მომწყობი ამიერ კავკასიაში

ნ. მკურნალი.

## საქართველოს სიძველეთა მოტრფიალეთა საყურადღებოდ*)

„მე ღუთად უღირსმან ნინო-წმინდელ ეპისკოპოსმან მიტრაპოლიტმან არქიმანდრიტმან საბამან: თვით ხელყოფითა ჩემითა აღვაწერინე წმ. ესე სჯულის კანონი: და მეცნიერ განსწავლულობით: და უეჭველ სიმართლით: სჯულის მომადლთა მოციქულთა მიერ დასხმული კანონნი: და სრულიად თვითოეულისა მსოფლიოთა კრებისა; კრძალულებით ვიძიებ: და ჴელოვნად გიძღვნა მეძღვნელმა. მეხ სიწმიდის ცისა უმრწემსი (sic) და ყოვლად ქართველთა ჩვენ მეგობრის წმიდისა ხახო მდებარისა სავარძელსა ეკლესიასა: ხოლო მე გლახ მცირე დაშთენ მუთაქას მისი გულ დამწვარი კოხტათი სულით გამოქმედი: შთვრე ესე და ამას თანა სული და ხორცი ჩემი ჴელმი დაუხვევი: და უკანასკნელ განსვლასა ჟამს. შეგი თან მისი წმიდა კერძი. რამეთუ ტაოა მსიდები ხახო მთავარ-ქუდო:—

დაიწყო წმიდა ესე და სულთა განმანათლებელი სჯულის კანონი ქრისტეს ტფილისისა. ტაძარს წმიდისა ღვთისმშობლისა. მეფობასა ჩვენი ესე მეფისა თეიმურაზისა. და ღმერთოსნობასა ახალისა. არქიეპისკოპოსისა ბრძანებითა მეტროპოლიტისა სიონისა. მე ღრმად ხელოვნისა და ყოვლად უხანისა მისი ბრძანებით განვასრულე სიონისა დამოდიერნისა და მღვდლის მახარებლის დიმიტრი. დაიწყო ხელოთ ხუთა. ვინ ხელად ძალიდე და აღმოთქმად დამონისა ღვთის გუშაგისა და ხუ მქვე მქე ღუ რაი მეტომით დამიწეროს: ჩემად დიდი ღმერთი სიმართლის მეტად ამისა მაგრამ აღსალისა უმეცარი არიან არს ამ მეცნიერ მთხრობილთა. მე ყოვლად ვერ უმეცრისათვის. გულ ღვთისა ამიტომ დაუტოვე ღვთის გულისა. ვედრებ ხასა ესე აღვდგენით: იდ: ქეს ღუდ.

აქა ხელ გურთხეული ქვრივთა დაძლევა თამარ მიიდვეს გურთხეულმან არს ხსენება და გურთხევა მისა:

მეფე ძლიერის ძლიერისა მის გამარჯვებული და მოციქულად ქრისტესა რჩეული რომელიც წინამდღვრად ქადაგებს სიტყვისა ღვთისა და გამოხე სახარება მსხეელისა და აღმოუწონდა სიძულის შორის ხალხე. და მოკლებულისაგან უგვანებელ წარუდგე გჴსას მას კურთხეულსა და ძლიერისა. და ქმნის ღვთისა და ემის მე მიერ განთავისუფლებს ღვთის წმიდა სახით და აჴვა მარადის მიჴმოე შრომათა შენთათვის. რომლისა ესე მეგა მსახურებთა შემწეობისა მისის შრომის შეიწირე მე მიერ აღმოსაცემი. და აღმოტვნენელი ქვეყანი მეე მიერ გასარეველი. გარნა აწ ქმნილ თვით თვით თავისი დახმარებით ეკლესიასა (sic) შემწეობისა. და შეწყალეს შენისა მისათვის და მოქმედი შენ მიერ, გლახაკი სულთაი და მდაბალი ცხოვნი ქმ. მარადვ ცოდვასა მის მხცველი მისი სული დიდებით ამაღლებულისა ქა-

---

*) 1883—1884 წ. ნინო-წმინდის ეკლესიიდგან გამოგზავნეს წიგნები სამღვდელოებისათვის ძველი საეკლესიო წიგნები. ამ ჟამად ნინო წმინდის ტაძარში ინახება მხოლოდ ორი ხუცური ხელთნაწერი სახარება და ერთი რჯულის კანონი, რომელსაც ბოლოში ეს წარწერა აქვს. ერთს სახარებას წარწერა სრულებით არა აქვს-რა. მეორე სახარება თავისი სიმკვირით და კალიგრაფიულ მშვენიერებით წარმოადგენს ძლიერ შესანიშნავ ნაშთს. იმაზე წვრილი ასოებით, სუფთა და მოხდენილ ხელით დაწერილ, როგორც ეს სახარება არის დაწერილი, შემდეგი-ღა წარმოდგენია, აქ, სადაც სახარება თავდება და სარჩევი იწყება, ორი ფურცელი მინაწერი აქვს, რომელიც შეუცვლელად გადმოვიღეთ.

მღ. ა. ბ.

---

ხის თავი და ბოლო, სული და გული ის იყო. და ყოველ ამისთანა საგანს ისე არკვევდა და ჰხსნიდა, როგორც მაშინდელი დრო მოითხოვდა. მაშინდელი იდეალები, უკეთესთა კაცთა ნატვრა და სურვილი ჰიუგოზედ კარგად არავისა ჰქონდა შესისხლ-ხორცებული და ამიტომ, რასაკვირველია, საფრანგეთის ერიც ისე სცემდა თაყვანს, როგორც თავის „კერპს“.

საფრანგეთის ლიტერატურის ისტორიაში მხოლოდ ვოლტერს თუ ჰქონდა იმისთანა სახელი, როგორიც მოიხვეჭა ჰიუგომ. მაგრამ განსხვავებაც დიდია მათ შორის; ისეთივე განსხვავებაა, რა განსხვავებაც არის მე-18 და მე 19 საუკუნის საფრანგეთ შორის. მე-18 საუკუნის საფრანგეთში მეფობდა ფხიზელი კლასიციზმი, ხოლო მე-19 საუკუნისაში—თავბრუს დამსხმელი რომანტიზმი. ორივენი მაინც ერთნაირად ჰმოქმედობდნენ თანამედროვეთა და თანამემამულეთა უმრავლესობაზედ; ორივენი წარმომადგენელნი იყვნენ თავ-თავიანთ დროის უმრავლესობის სულისა და გულისა. ერთის იარაღი იყო „raison“ (გონება), მეორისა—„inspiration“ (ზე-შთაგონება).

ვიქტორ ჰიუგოს დროინდელნი კაცნი ისე უყურებდნენ ვოლტერს, როგორც ისეთს მოვლენას, რომელმაც დიდი ხანია დაჰკარგა საფუძველი თავისის არსებობისაო, ხოლო როგორ დაუწყებენ ცქერას ვიქტორ ჰიუგოს მე-20 საუკუნის თაობანი?

ვერც ვოლტერმა და ვერც ჰიუგომ ვერ შესძლეს და ვერ მოსპეს ის წინააღმდეგობა, ის მოურიგებლობა, რომელიც თან-და-თან უფრო მეტად ვრცელდება ჩვენს დროში; თითქო უფრო გააძლიერეს კიდევაც, რადგან მეტად წინ აყენებდნენ და გაზვიადებულს მნიშვნელობას აძლევდნენ თავიანთ საკუთარს აზრსა და რწმენას. ყოველის ღონისძიებით სცდილობდნენ ემოქმედნათ „ბრბოს ფსიხოლოგიაზედ“ და მით აძლიერებდნენ უმრავლესობისა და ბრბოს სტიქიონურს, ინსტიქტებზედ დამყარებულს მისწრაფებას, იმის მაგიერ, რომ გულ-დამშვიდებით ემოქმედნათ თითოეულ ადამიანზედ და ასეთის მოქმედებით, ასეთის დამშვიდებულის ჩაგონებით შეეცვალათ ფიქრი და რწმენა თითოეულის კერძო კაცისა.

ამბობენ, რომ დიდებული პოეტები აღმზრდელნი არიან თვისის ერისაო, მაგრამ ვგონებთ ვიქტორ ჰიუგოზედ ეს არ ითქმის, რადგან აღმზრდელს მეტი სიმშვიდე მოეთხოვება გულისა, მეტი გრძნობა ზომიერებისა და მეტი სიფხიზლე მსჯელობისა.

ამას გარდა ფართო არ იყო მისი ცოდნა მსოფლიოსი. ვიქტორ ჰიუგო მშვენივრად იცნობდა თავის ერს და საზოგადოდ კარგადა ჰქონდა შეთვისებული სული ლათინთა მოდგმის ხალხისა, იცოდა აგრეთვე ასე თუ ისე ისტორია და ცხოვრება იტალიისა და ისპანიისა. ეს იყო და ეს. მისი გონებრივი შორსმჭვრეტელობა იშვიათად გასცდებოდა ხოლმე ლათინთა მოდგმის საზღვარს, თუმცა „საუკუნეთა ლეგენდებში“ და „ბურგრაფებში“ შეეხება გერმანიის შუა საუკუნეთა ისტორიასაც-კი. მხოლოდ ერთხელ „აღმოსავლეთის ლექსებში“ ამხედრდა თვისის კეთილ-შობილურის გულის ყოველ ძალ-ღონით ბერძენთა დასაცველად, საუცხოვოდ დაასურათა ბრძოლა მათი ოსმალთა წინააღმდეგ და ის საოცარი ზღვა, რომელიც იყო ასპარეზი ბერძენთა ქველობისა და ვაჟკაცობისა.

გერმანელობა თითქმის არ არსებობდა მისთვის. ძალიან ნაკლებად აქცევდა ყურადღებას გერმანელობის ცხოვრებას, ლიტერატურასა და ხელოვნებას. როცა ერთხელ ტურგენევმა ჰკითხა თურმე, წაგიკითხავთ შილლერის დრამა „ვალენშტეინიო,“ ჰიუგომ უპასუხა: „არა, შილერის თხზულებანი არ წამიკითხავს, მაგრამ ვიცი, რის თქმაც უნდა იმასაო.“ ასეთი ამპარტავნობა, ასეთი ზვიადობით სავსე რწმენა, რომ ხოლოდ ლათინთა მოდგმას შეუძლიან სთქვას ახალი რამ და დიდებულიო, არ ეპატივება დიდს მგოსანს, ისეთს მგოსანს, რომელიც მთელი ნახევარ საუკუნე სათავეში უდგა საფრანგეთის სალიტერატურო მოძრაობის.

ასეთის წინა-უკმოობის კაცი იყო ვიქტორ ჰიუგო, მაგრამ მაინც, ასე თუ ისე, იგი იყო განხორციელება ძველის საფრანგეთის სიმპატიურის სულისა და, ვინ იცის, იქნება, მისი უკანასკნელი ბრწყინვალე წარმომადგენელიცა.

არტურ ლეისტ.

რთველთა მეფისა ერეკლესი. და დაჲ დიდათ წარჩინებულის კახთ მეფის დავითისა და თანამეცხედრე კახეთის სახლთ უხუცესის ჩოლაყაშვილის ედიშერისა სძალი ამბა ალავერდელის ნიკოლოზისა. სოფლისა საცთურობათაგან განცდილი და აწ ენკრატის ქმნილი პირველთა მარიამობით ხმობილი უბადრუკი მარინა ადვიძარ სურვილითა შენითა და ვერა რაი სათნოება ვპოვე თავსა შორის ჩემსა რათამცა ძღვნად შევწირე შენდა. და კადნიერება მოვიღე მექონებობად მეოხებისა შენისა და ამისგან უსსო ქმნილმან მოვიძიე სიგლახაკისა ჩემისა ძღვენი სახარება მეფისა ჩვენისა ზეცით გარდამოსვლითგან ჩვენისა ხსნისათვის ვიდრე ზეცადმდის ამაღლებასა რომლისა შენ თვით წარმოიმართე ქადაგებასა ამისთვის რომელს გეუწყნეს დედის მიერ ღვთისა და მოგენიჭნეს ჩვენებათ რომელს განცხადებულად გეტვირთვნეს და ესრეთ წარგვემართნეს ყოველი განზრახვა შენი ვინათგან ესრეთ განუშორებელად გაქვნდა ყოველი სრბაჲ შენი მის მიერ წარგნემართნეს და მეცა ამად მოვიძიე დაკლებულმან კეთილთაგან უწყოდი ვითარმედ შემწირველ იქმნები და ამის მიერ მეოხებად ჩემდა აღიძრვი რომელმან ყოვლითა სასოებითა ჩემითა აღვიღე წმიდა ესე და სულთა განმანათლებელი სახარება და შემოგწირე სასოსა და შესავედრებელისა ჩვენისა წმიდასა ნინოს ტაძარსა რომელ არს გარესჯას. და მეართვი შენ მიერ განათლებულსა ყოვლად სანატრელსა და ყოვლად პატიოსანსა ჩვენსა სასოსა და მეოხსა ათორმეტთ უდაბნოს მკჳსა (—მკურთხეველსა) და ტაძარსა შენსა ღირსებით მშჳრობელსა და შენ ძალით საუფლოსა ხარისხსა მჯდომარესა თავ. კახეთისასა ვაჩნაძეს უფალს იოსებს ამის მიერითა შეამდგომლობითა მოგაძღვანე. შეიწირე შენ წმიდაო დედაო და მოციქულო ქრისტესო ნინო ვითარცა შეკავს სასოებასა ჩემსა და ნუ მიხედავ უღირსებასა ჩემსა. არამედ მიხედე სიტკბოებით ძღვნისა პატიოსნობისა და ანუ თუ ვითარ წადიერებითა წარმომიძღვნიეს და ეგრეთ მაგე ნაცვალი დღესა მას დიდსა განკითხვისასა რაჟამს დაჯდეს მეუფეჲ ჩვენი საყდართა დიდებისათა და მაგებდეს კაცად კაცადსა საქმეთაებრ თვისთა მას დღესა მეოხ მექმენ მეუღლით ჩემით და წარმომიდეგ შემწედ და განკვარინე სირცხვილისა მის დიდისა და ვევედრებასა მის სადმობერისა. და გვარქვ სიტკბოებით ვითარმედ შვილო მოგეტევნენ შეცოდებანი თქვენნი. და საყვარელსა ძვემე შენსა დაიფარე ასული ჩემი მხოლოდ შობილი სასოებითა შენითა სახელისა შენისა მიმღები. და დაიცვე კვალად ორსავესა შინა ცხოვრებასა ნინოწმინდელი იოსებ, რომლისა წადილითა შემწირველ ვიქმენ ამისსა. და აწ თქვენდაცა მოვაქცით სიტყვა ჩემი. რომელმან წმინდა ესე სახარება ტაძრისა ამისგან გამოსწიროს და სხვას მონასტერსა მისცვალოს. ანუ თვით იქონიოს თვისაერ ტაძრისა ამის მშჳრობელისა ნინოწმინდელის კიდემდე მასცა რისხავს ღმერთი და ყოველნი მისნი წმინდანი და წმ. მოციქული ნინო წარმოუდგეს დამსჯელად დღესა მას სულთა აღმოსვლისასა: შეიწირა წმ. ესე სახარება მას ჟამსა ოდეს მეფობდა კახეთს მეფე დავით... ქსაჲ ჟთ:

დიდება ღმერთსა სრულ იქმნა ყოვლად ბრწყინვალე ევანგელიე ხელითა ცოდვილის მიქელისათა: წმინდანო ღვთისანო შენდობასა ჰყოფდეთ ჩემთვის:

## წერილი რედაქციის მიმართ

(ქართულ დრამატიულ საზოგადოებას)

9 მარტს, ქართულ დრამატიულ საზოგადოებას დ. ახალ-სენაკის საზოგადოების მონდობილობით, მე გამოვუგზავნე „პერევოდით“ (დეპეშით, რომელიც ხელ-მოწერილი იყო თ-დის ბესარიონ მხეიძის და ე. მოსიძის მიერ) სამოცდა-ერთი მანეთი და თოთხმეტი შაური (61 მ. 70 კ.), შეკრებილი დ. ახალ-სენაკში ვასო აბაშიძის იუბილეის გამო, რათა დრამ. საზოგადოებას მიეცა ამ ფულებისათვის დროს შესაფერი დანიშნულება. დღემდის ჩვენ არ ვიცით, მიიღო თუ არა დრამატიულმა საზოგადოებამ ეს ფული და, თუ მიიღო, რა დანიშნულება მისცა ამ ფულებს. ამის გამო წერილითაც ვსთხოვეთ დრამ. საზ. ეცნობებინა, თუ რა იქნა ჩვენი ფული და ან რატომ სხვა შემოწირულებასთან ერთად გაზეთებში არ იყო გამოცხადებული. არ იქმნა და არა, დღემდის პასუხს ვერ ველირსეთ ვერც წერილითა და ვერც გაზეთების საშუალებით. ამისთვის განმეორებით ვსთხოვთ დრამატიულ საზოგადოებას, გამოაცხადოს გაზეთ „ივერიის“ საშუალებით ყოველივე საჭირო ცნობა ზემოხსენებულ ფულის შესახებ.

ვიქტორ ბერიძე.

### „ივერიის“ ფოსტა.

**სოფ. საჭიროვო—აზ. მ. გ. ზრიგოლიას**: თქვენი ლექ ები არ დაიბეჭდება.

## დ ე პ ე შ ა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

29 მარტი.

**ვარშავა.** აქაური განყოფილება „ვაჭრობისა და მრეწველობის ხელის შემწყობ საზოგადოებისა“ იწვევს სასოფლო მეურნეობის მაშინების პატრონთ. იმათ უნდა მოელაპარაკონ ამ მაშინების კეთება როგორ უნდა გააუმჯობესონ ისე, რომ გერმანიიდგან აღარ იყოს საჭირო მათი გამოწერა.

მეთევზეობის ამხანაგობის მონდობილობით ვარშავის განყოფილება ადგენს მოხსენებას ვისლაზე მეთევზეობის მდგომარეობის შესახებ.

**ხარკოვი.** ხარკოვის ვაჭართა წლიურ კრებაზე გადასწყვიტეს მიიღონ ხოლმე კომერციულ სასწავლებელში ხარკოვის ბინადარ ებრაელების ბავშვები, ხოლო მათი რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს საერთო რიცხვის 10%-ს.

**ეკატერინოსლავი.** სალიკვიდაციო კომისია აქაურის კომერციულის ბანკისა აძლევს კრედიტორებს პირველ მისაცემ ფულის ანგარიშში მანეთზე აბაზს.

**რადომი.** დაარსდა პირველი დუქანი“ პატიმართა ხელსაქმისა.

**ვენა.** დიდი მთავარი სერგი მიხეილის ძე მოვიდა აქ კანნიდან. ბიულოვი წავიდა ბერლინში. „Meue Freie Presse“ სიტყვით, იმპერატორმა დიდის ამბით მიიღო. როგორც ბიულოვი, აგრეთვე ყველა ის სახელმწიფო პირები, რომლებიც მასთან ბაასობდნენ, დარწმუნდნენ, რომ სამთა კავშირი განახლდება.

**ლოძი.** აქედგან რამდენიმე ასი აგენტი სავაჭრო ფირმებისა გაემგზავრა შორეულს აღმოსავლეთში, აზიის რუსეთში და იმპერიის შუაგულ ქალაქებში ზამთრის საქონლის გასასყიდად.

**მოსკოვი.** პიროგოვის კომისიამ საჰიგიენო ცოდნათა ხალხში გავრცელებისამ სთხოვა გუბერნიების საერობო დაწესებულებათ, შემწეობა აღმოუჩინონ კომისიის ფილიალურ განყოფილებათა დაარსებას. სასარგებლო წიგნების გავრცელების საზოგადოების წევრთა კრებას მოჰხსენდა, რომ გზა-შემცდარ ქალთა მფარველი საზოგადოება სთხოვს მას თავისი განყოფილება დააარსოს მოსკოვშიაც. წინადადება მიიღეს.

**ბრიუსელი.** აქაც და სხვა ადგილებშიაც დიდი ღონისძიება მიიღეს წესიერების დასაცველად.

**კლერკსდორპი.** აქ მოვიდა შტეინი, აგრეთვე დევეტი და დელარეი თავიანთ შტატებით. მიიღეს შესაფერი ღონისძიებანი, რომ ბურების მმართებლობათა წარმომადგენელნი უზრუნველ-ჰყონ; მათ ნება დართეს ერთმანეთთან მიწერ-მოწერა იქონიონ.

**ლონდონი.** „შტანდარტი“ და „დაილი ხრონიკლ“ გადმოგვცემენ, რომ ბიუჯეტის პროექტში ნავარაუდებია გადასახადი: ფქვილის ცენტნერზე ხუთი პენსი და იმავ წონის მარცვალზე სამი პენსი.

**პეტერბურგი.** კიევის სასწავლო ოლქის მზრუნველს ტაინი სოვეტნიკ ველიამინოვზერნოვს ებოძა დეისტვიტელნი ტაინი სოვეტნიკობა და სამსახურიდგან დათხოვნილ იქმნა თანახმად მისისავე თხოვნისა. ხელმწიფე დედოფალმა ალექსანდრა თეოდორეს ასულმა მარტის 29-ს ინახულა სახელოსნო სკოლა იმპერატორის ალექსანდრე II-სა.

30 მარტს.

**პეტერბურგი.** „მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია ჩინეთის საქმეთა ამბები და ტექსტი იმ ხელშეკრულობისა, რომელიც მარტის 26 რუსეთსა და ჩინეთს შორის დაიდვა პეკინში.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. ბროდრიკი ამბობს, რომ მმართებლობას ჯერჯერობით არ მიუღია ცნობა თუ რა სამშვიდობო პირობას იძლევიან ბურები. ოკოლი ჰკითხულობს, ნება აქვს თუ არა კიტჩენერს სხვა პირობები წარუდგინოს ბურებს, გარდა სრულის დანებებ სა, ბროდრიკი ამბობს, რომ მას ამის შესახებ არაფრის თქმა არ შეუძლია. ბლეკი ჰკითხულობს, დაცულ იქმნება თუ არა დროებითი მორიგება მანამდი, სანამ ბურების კომანდირები დაშორებულნი იქნებიან თავიანთს ჯარებს. ბროდრიკმა უპასუხა, არავითარი დროებითი მორიგება არ იქნებაო.— დღეს დიდი ყრილობა იყო ლორდმერის თავმჯდომარეობით, კრება იხილავდა იმ საგანს, თუ რა ღონისძიებით შეუწყონ ხელი რუსეთ-ინგლისს შორის ვაჭრობას. კრებას დაესწრნენ შჩერბატოვი ცოლითურთ, ტატიშჩევი და რამდენიმე წარმომადგენელნი რუსის საელჩოში. ლორდმერმა სთქვა, რომ განზრახული აღორძინება მჭიდრო სავაჭრო განწყობილებისა რუსეთთან სრულს დახმარებას მიიღებს ლონდონისაგან, შჩერბატოვმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც განმარტა, რომ ინგლისელს მეურნეს, მრეწველს და მყიდველს დიდს სარგებელს მოუტანს რუსეთთან სავაჭრო განწყობილებაო.

**ტანჟერი.** აქაურ ნავთსადგურიდგან ერთსა და იმავე დროს წავიდნენ რუსეთის და საფრანგეთის სამხედრო გემები, რუსეთის კადიქსში და საფრანგეთის ტულონში.

**ლონდონი.** „ტაიმსი“ იუწყება, რომ იაპონიის ჟურნალ-გაზეთები სიამოვნებით მიეგებნენ მანჯურიის შესახებ ხელშეკრულობას, რადგანაც მითი აღდგენილ იქმნა ნდობა რუსეთის კეთილ ინდისიერების მიმართ. იგივე გაზეთი ამბობს, ჩინეთის იმპერატორმა დაამტკიცა მანჯურიის შესახები ხელშეკრულობაო.

**ვენა.** ყველა ისინი, რომელთაც ცნობილ საქმეში ბრალი ედებოდათ „ჟოკეი-კლუბში“ თამაშობისა დაჯარიმებულ იქმნენ თითო ათას მანეთით, და თუ ჯარიმას რომელიმე მათგანი ვერ გადიხდის თითო თვით ციხეში ჩასმენ.

### პეტერბურგის ბირჟა, 27 მარტი.

ვექსილის კურსი 9 თვით:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. . . . . | 94,05 | |
| ბერლინში 100 მარკაში . . . . . | — | |
| პარიჟში 100 ფრანკში . . . . . . | — | |
| ლონდონში ჩეკები . . . . . . . | 94,80 | |
| ბერლინში ,, . . . . . . . | 46,30 | |
| პარიჟში ,, . . . . . . . | — | |
| ბირჟის დისკონტი . . . . . . | 4½—6½ | |
| 4% სახელმწიფო რენტა . . . . | 96⅝ | გაყიდ. |
| 4½% შინაგანი სესხი 1893 წ. | 98¾ | „ |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ. მამულო ბანკისა . . . | 94⅜ | წვ. გაყ. |
| 5% 1-ლ შინგ. სესხის მოგებ. ბილ. 1864 წ. . . . . | 471 | გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მოგებ. ბილ. 1866 წ. . . . . | 362 | წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. მოგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა. | 307 | გაყიდ. |
| 4½% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა . . . . . . . | — | |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. . . . . . | — | |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. . . . . . | — | |
| 5% ტფილ. სადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . . | — | |
| 4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა. . . . . . | — | |
| 6% ქუთ. სადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . . . . | — | |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — | |
| პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. აქციები ,, . . . . . | | |
| ,, კასპიის ამხანაგობისა. | — | |
| ,, ბაქოს ნავთის საზოგად. | 461 | წვ. გაყ. |
| . ,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. | — | |
| ნავთის სამრეწვ. საზოგად. . . | 323 | წვ. გაყ. |

### ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს. ფრჩხილებს გარეთ—პეტერბურგის საათით)

მატარებელი მიდის **ტფილისიდგან ბათუმში:**

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 7 ს. 54 წ. (8 ს. 52 წ.) ბათუმში ჩავა დილის 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ), ბათუმში ჩავა საღამოს 9 ს. 28 წ. (10 ს. 26 წ.).

**ტფილისიდგან ბორჯომში:**

სამგზავრო მატარებელი № 67 დღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.)

**ტფილისიდგან ბაქოში:**

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, დღის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.), ბაქოში ჩადის ღამის 3 ს. 58 წ. (4 ს. 56 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 11 ს. 47 წ. (12 ს 45 წ), ბაქოში ჩადის დილის 6 ს. 33 წ. (7 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამოს 9 ს. 36 წ, (10 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

**ტფილისიდგან ყარსში:**

ფოსტის მატარებელი № 58—59 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღის 12 ს. 28 წ. (1 ს. 21 წ.)

**ბათუმიდგან ტფილისში:**

ფოსტის მატარებელი № 4 ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 45 (11 ს. 43 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 58 წ., (9 ს. 56 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

**ბაქოდგან ტფილისში:**

სწრაფი მატარებელი № 1 ოთხშაბათობით, ღამის 10 ს. 41 წ. (11 ს. 39 წ.), ტფილისში ჩამოდის დღის 12 ს. 47 წ. (1 ს. 45 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3, ღამის 12 ს. 2 წ. (1 ს.). ტფილისში მოდის, საღამოს 6 ს. 24 წ. (7 ს. 22 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 5, დღის 3 ს. 35 წ. (4 ს. 33 წ.), ტფილისში მოდის დილის 8 ს. 50 წ. (ს. 48 წ.).

**ბორჯომიდგან ტფილისში:**

სამგზავრო მატარებელი № 66, ღამის 1 ს. 50 წ. (2 ს. 48 წ.).

**ყარსიდგან ტფილისში:**

ფოსტის მატარებელი № 60—61 დილის 4 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.) ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 47 წ. (7 ს. 45 წ.).

**ქუთაისიდგან** ბაქო-ტფილისისაკენ: 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.) 2)—შუადღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

**ქუთაისიდგან** შორაპნამდე—გადის ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

**ქუთაისიდგან ბათუმში:**

1) მატარ. გადის ღამის 3 ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მიმავალ მატარებლით წასვლა რიონიდგან); 2) გადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

## განცხადება

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამითი აცხადებს საყოველთაოდ, რომ ბორჯომში, ვორონცოვის ქუჩაზედ, სამკურნალო წყლების პარკში იძლევა ქირით საზაფხულოდ ქ. ტფილისის ორ-სართულიანი ქვითკირის აგარაკი (აბესალომისეული) ავეჯით და სხვა საჭირო შენობებით. აგარაკი ახლად შეკეთებული იქმნება და გაიცემა ერთად ან თვითო სართული ცალკე. ესევე აგარაკი **იყიდება.**

ცნობებისათვის მსურველმა უნდა მიჰმართოს ტფილისის ქალაქის გამგეობას ყოველ დღე, 10-დგან 3 საათამდე.

(3—6.—3).

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ორი ახლად დაბეჭდილი წიგნი:

## ყოველის მხრიდან

ეტიუდი სოფლის ცხოვრებიდგან არბოლისა ფასი 10 კ.

და

## მოთხრობანი

დავ. კლდიაშვილისა ფასი 30 კ.

„GRAND PRIX“

PARIS 1900.

Т-во Высшей парфюмеріи

**А. Ралле и К-о**

ДУХИ

**ЦАРСКІЙ ВЕРЕСКЪ**

Денисовскій

**მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი**

## „ოდობრინი“ მ. ვ. ლებედევისა

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(33—6—2.)

### წერაკითხვის საზოგადოების წიგნისმაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცეკული წიგნები:

| | |
|---|---|
| საუმაწვილო ამბები ეკ. გაბაშვილმა . | „ 30 |
| საქართ. ისტორია ბროსესი I-II ნაწ. | 1 40 |
| Земельные вопросы и преступность на Кавказѣ Г. Тумановъ . . . . . . | „ 60 |
| სალიტერატურო ქართული. სიღრვან ხუნდაძის გამოკვლევა . . . . | 1 მ. „ |
| მოთხრობანი დ. კლდიაშვილისა. | „ 30 |
| ყოველის მხრიდგან. არბოლისა. . | „ 10 |
| ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა . . . . . | „ 50 |
| ამოდის ნათლება, ვაჟა-ფშაველასი . | 15 კ. |
| ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძისა | 15 ,, |
| ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი . . | 5 ,, |
| ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა | 30 ,, |
| აბო ტფილელი, ე. კ. . . . | 30 ,, |
| Або Тифлисскій, Е. К. . . . | 5 ,, |
| ამბავი მადლის ქვისა . . . . | 5 ,, |
| აკიდო საუმაწვილო, მოთხრ. ი. გოგებაშვ. | 15 ,, |
| ათონის ივერიის მონასტრის ხელთ-ნაწერი . . . . . | 1 მ. 50 ,, |
| ბერანჟე, თარგ. გ. გვაზავასი . | 40 ,, |
| ბუნია . . . . . . | 10 ,, |
| ბუნების სიადგრიო მოვლენანი, ს. ჯუღელისა . . . . . | 15 ,, |
| ბაში-აჩუკი, აკაკისა. . . . | 30 ,, |
| ბუნება სურათებში, ი. ალხაზიშვილისა 1 მ. | 30 ,, |
| გლეხ-კაცის ისტორია, III—IV ტ. 1 მ. | 20 ,, |
| გამზრდელი, აკაკისა . . . | 5 ,, |
| გასართობი . . . . | 10 ,, |
| გოგებაშვილი იაკობ, ზ. ჭ—სა . | 15 ,, |
| გუსტავ ვაზა . . . . . | 5 ,, |
| Грузинскій отрывокъ Калилы и Димны, А. Хахановъ . | 60 ,, |
| გიორგი და მიხეილი . . . . | 10 ,, |
| Древный Анчисхатскій соборъ. | |
| ქართველი წმიდანები, გ. იოსელიანისა | ,, 40 |
| შრომა და ბედნიერება, თარგ. ნინიძისა | ,, 30 |
| ჩანგი, ვ. აბაშიძისა . . . . | 1 ,, |
| ჩემი აზრი და ფიქრები, ს. ხუნდაძისა. | |
| Царица Тамара, М. Джанашвили . . . . . . | ,, 50 |
| ცისარტყელა, ვ. ცაგარელისა | ,, 30 |
| ცხოვრების სარკე II, გამოც. ი. იმედაშვილისა . . . | 1 ‘‘ |
| Характеристики и воспоминанія Г. Туманова . . . . | ,, 50 |
| Карбеловъ . . . . | ,, 20 |
| დედა, ანდერსენისა | 8 ,, |
| დამოხებული, თარ. თ. სახოკიასი . | 1 მ. ,, |
| დაუჯდომელი წმ. ნინოსი . | 20 ,, |
| Двѣ святины въ Кахетіи, Е. К. | 10 ,, |
| Давидъ Гареджели, Е. К. . | 15 ,, |
| ეტიუდები, თ. ხუსკივაძისა . . | 15 ,, |
| ელენე, მოთხრობა . | 5 ,, |
| Вступленіе Грузіи въ составъ Росс. имперіи, М. Хелтуплишвили | 40 ,, |
| Назрѣвшій вопросъ, Е. К. . | 20 ,, |
| ოცი წლის წინედ, გ. წერეთლისა . | 5 ,, |
| Очерки по истор. Грузин. словесности, т. III Хахановъ . | 3 ,, |
| პატარა ლორდის თავგადასავალი . | 30 ,, |
| პატრა ვეფხვის ტყაოსანი. . . | 25 ,, |
| რვას განდევნა, თარგ. ალ. ს—შვილისა | 40 ,, |
| სიტყვიერების თეორია, ევ. კირიონისა და გრ. ყიფშიძისა . . | 1 ,, |
| სპარტაკი, თარგ. ნ. ყიფიანისა. . | 60 ,, |
| ახრო დედასწყვდი . . . | 25 ,, |
| Въ Барсовой кожѣ, Мкинвари | 1 р. ,, |
| ზურაბის კოშკი, ივ. ბ—ლისა. . | 3 ,, |
| Заслуги Грузинскаго монашества, Е. К . . . . | 30 ,, |
| თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი . | 1 მ. |
| თეორია სიტყვიერებისა, კელენჯერიძისა | 40 ,, |
| თამარ-დედოფლის სამკაული . | 10 ,, |
| თამარ დაზნელი, ან. ფურცელაძისა . | 50 ,, |
| ისტორია ქართულ სტამბებისა . | 15 ,, |
| იანიხარიდ., ნახუცრიშვილისა. | 40 ,, |
| კონსპექტები საქართველოს ისტორიიდგან I—II არ. ქუთათელაძისა . | 60 ,, |
| სამეგრელოს აღწერა, თარ. ა. ჭყონიასი . . . . . | 1 ,, |
| სამხრეთი საქართველო, ზ. ჭ-სა | ,, 30 |
| საუმაწვილო ამბები, ეკ. გაბაშვილისა. | ,, 50 |
| სუმბული, ს. ქვარიანისა. . . | ,, 20 |
| ტარტიუფი, თარგ. ივ. მაჩაბლისა | ,, 50 |
| უკვდავთა დიდებანი, მ. ჯანაშვილისა | ,, 15 |
| ქართული სახალხო სიმღერები, ი. კარგარეთელისა . . . | ,, 50 |
| ქრისტინე, ე. ნინოშვილისა . | ,, 20 |
| ქართული მწერლობა, მ. ჯანაშვილისა | ,, 40 |
| ქეთო და სონა, საუმაწვილო მოთხრობა | ,, 5 |
| ქართველების გათათრება, ზ. ჭ—ისა | ,, 25 |
| კოპერნიკიდან დარვინამდე . | 10 ,, |
| კანდელი, მ. ღლონტისა . . | 15 ,, |
| Краткій очеркъ исторіи Грузинской церкви, Е. К. | 1 р. 50 к. |
| Краткій очеркъ Грузинской народной музыки, И. Каргаретели . . . . | 30 ,, |
| კუბიკები ქართულის ანბანისა . | 1 მ. 20 |
| ლექსები განდეგილისა . . | ,, 50 |
| ევდოშვილისა . . . | ,, 50 |
| რ. აბაშიძისა . . | ,, 60 |
| დ. გაბრუაშვილისა . . . | ,, 25 |
| მელის წიგნი, კ. თავაძიშვილისა . | ,, 40 |
| მუშათა კითხვა . . | ,, 15 |
| მოგზაურობა იერუსალიმში, დეკ. პ. ყორანაშვილისა | 1 ,, |
| მოძღვრებანი, ი. გამრეკელისა. | ,, 40 |
| მეცნიერებისთვის წამებულნი . | 1 ,, |
| Мцхетъ и его Соборъ, А. Натроева . . . . . | 1 50 |
| ნელი და პატრაში, თრ. ელ. წერეთლისა | ,, 10 |
| ნათელა, აკაკისა . . . | ,, 20 |

Дозволено цензурою. Тифлисъ 30 мар. 1902 г. Типографія А. М. Сударевой, въ Тифлисѣ, Дворц. ул., д. груз. Дворянства. დროებითი რედაქტორი ა. ი. სარაჯიშვილი. გამომცემელი ი. ჭავჭავაძე.